

OK 9093  
2

0. ତାପ୍ୟଗତିକାଳି.

# ପାଠୀଲୋପନ୍ୟ-ଧାରାଖାଲୀକାନ୍ଦୁ

ଫେବ୍ରୁଆରୀ ମୁହଁ ପର୍ବତୀଶ୍ଵରାମାଚାର୍



ପାଠୀଲୋପନ୍

ମହିନାମୂଲ୍ୟ-ମଧ୍ୟକଲ୍ୟାଣ ଏମିଲିନ୍ସା". ମର୍ମିଲିନ୍ସା ଓ ., № 5.

1907

ე. თაყაიშვილი.

---

# კათალიკოზ-გაქარიანი

ძღვდღის იასე ტლაშვილისა.



ტფილისი.

სტამბა გ. შარაძისა და ამხანაგობისა.

Тип. М. Шарадзе и К° Ник. ул. № 21.

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, Марта 21 1895 года.

არის წიგნი ესე კათალიკოზ-ბაქარიანი, მრავალმცა არია  
ან წელნი და უამნი ცხოვრებისა მათისანი, თქმული ტლაშა-  
მის მღვდლის იესესი. დაიწერა ქალაქსა შინა სამეუფოსა  
კოჭუანტინეპოლის, ქრისტეს აქეთ ჩლკზ, ქორონია-  
გონსა უიე.

---

1. აამე მსმენთა, კარგ ღვინის მსმელთა, აწე შენ წიგნო ბა-  
ქარიანო.  
კარგა შეექცნენ, არსად გაგექცნენ, ვინც სუფრაბე ზის, აქ არი-  
ანო.  
რიცორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ეხა ფკბილო და  
შაქარიანო,  
და ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი მოვ-  
ზარიანო.
-

არის წიგნი ესე კათალიკოზ-ბაქარიანი, მრავალმცა  
არიან წელი და უამნი ცხოვრებისა მათისანი, თქმუ-  
ლი ტლამაძის მღდლის იესესი ქალაქსა შინა სამეუ-  
ფოსა კოსტანტინოლის, ქრისტის აქათ ჩლპნ, ქო-  
რონიკონს უიე.

2. ლმერთო, ალძარ ენა ჩემი შენ წინაშე საქებარად,  
პირველუა ჰქმენ დასაწყისად, მერმე ნივთნი მთა და ბარად,  
შენვე ესე ყოველივე ზღვაზედა ჰქმენ დასამყარად  
და გარდამოკედ ქვეყანაზედ, ცოდვილთათვის ალველ ჯვარად.

3. ჰე ერთო ლმერთო ძლიერო, უხვად წყალობისა მამცემო,  
ჩვენისა გამოკინისათვის გვერდსა ლახვარსა გამცემო,  
ჯოჯოხეთისა დამჭურო და სამოელის დამცემო  
და ადამის გამომყვანელო, სატანას კვერთხითა მცემო.

4. როს ადამ შექმნა უფალმან, შთაბერა სული ცხოველი,  
რაც გამუნო, ის დაიჯერე, მე შენგან ამას მოველი,  
ქვეყანა ზიგნით აშენდეს, ვიყო წყალობის მთხოველი,  
და იმ ერთს ხილს თუ სკამ, მოკვდები, ცუდად ჩაგივლის ყოველი.

5. ჰერიე დაიკაენ, უფალო, დასცვივდეს ჯაჭვი კელთაგან,  
დამიხსენ მეტა დაბმული მტერისა მე მახეთაგან,  
ვაბივარ ძნელსა ბადესა ეშმაკისა საბრეეთაგან,  
და ადამსავით ალარ ვკამ აწ ხალსა მე მა კეთაგან.

6. როს ეზეკია ოდესმე იქსენ შენ წაწყმედისაგან,  
ცრემლით გევედრა, შეუნდევ, დაიქსენ ეშმაკისაგან,  
მეც გევედრები, დამიქსენ დაბმული მტერებისაგან,  
და ვის დავაბრალო ეს საქმე, გადამკდა მე ბედისაგან.

7. არ მოასვენებს სოფელი კაცია ამყოლსა მისასა,  
შურსა ჩაუგდებს ეშმაკი ტკბილის საყვარლის ძმისასა,  
ზოგსა წაიყვანს ეშმაკი, დაჰკარგავს, თემს მოელის შორის გზისასა  
და თავსაც დაჰკარგავს, ყმასაცა, შიშს არა რიცობს ლთისასა.

8. კაცი წააკდენს<sup>1</sup> საქმესა და სოფელს დააბრალებსა,  
ერთს რასმე აიმიზეზებს, არვინ ატანდეს ძალებსა,  
დაუჭირებლივ შორს წავა, თავსა არ შეიწყალებსა,  
და ნაქსოვი ეცვას ამ გვარს კაცს, ველარიშოვნის შალებსა.

9. შორს გზას წასულს კაცს ნაღველი ბევრს რასმე მოაგონებსა,  
არად მიაჩნდეს კარგიცა, ავის სახლისა მქონებსა,  
დაჯდეს, იტიროს, იფიქროს, შეერთოს ცრემლთა ფონ ებსა,  
და მაშ რა ვქმნა, აღარ ვილაყბო, ნაღველს ვინ მომიფონებსა?

10. ცრუმან სოფელმან გამტანჯა და არსად მამასვენა მან,  
თვალი გამიშრო ტირილმან, ნიაღაგ ცრემლთა დენამან,  
ვაი თუ ავად ჩამიგდოს თქუენის ყურისა სმენამან,  
და ვინდა გიშველის, იასე, თუ კი წაგწყმიდოს შენ ამან.

11. განა არ ვიცი, არ კარგი კაცი ცრუ, ცუდად მეტყუელია,  
არ მამწონს კაცი გულ-დიდი, ყბედი და სიტყუაპტყელია,  
მცოდნეს კაცს სიტყუას დასტყუვებს, სხვაგან აღაყბოს<sup>2</sup> ყელია,  
და გირ შემოერტყას სიცრუვე მართ, ვითა რა სარტყელია.

12. დავით დაწერა ფსალმუნში: „ ყოელი კაცი ცრუ არსა, ”  
არ გაუთავდეს სოფელი კაცია ცრუ ფიცია, მტყუარსა,

დაკარგოს თავის დიდება, ეძებდეს, პოოს, თუ არსა,  
და ბატონმა რა სამსახური ბძანოს, ვერ ვეტყვით უარსა.

13. მიბძანა, სტამბოლს მიახელ, მე ვერ ურჩ ვექმენ ბატონსა,  
ბევრსა ცმსახურებ, ვაამებ, ეგებრაშ შემამატოსა,  
ნეტამცა რაც მამიგია, ისიც არ დამეპანტოსა,  
და ვინ გააკეთა, არ გაყვა, მე ჭირი მემატოსა.

14. ყმა ბატონზედა ჰკიდია, ისე ბატონი ყმაზედა,  
ყმამა მსახუროს ბატონსა და თავი დადვას მას ზედა,  
ძნელის საქმის გამართვა, ისიც ჰკიდია ჰკუვაზედა,  
და გაფხილება სჯობს და გარჯა დიდის კელმწიფის კარზედა-

15. ბატონმა რა ქნას მის მეტი, ყმა გააკეთოს მან მისი,  
სხვაგან იყიდოს, დააგდოს, მამული იმან მამისი,  
იმისთვის თავი არ დადვას, არა ინაცვალოს ძმა მისი,  
და ჰკარამ ამაგი იმაზე და ჰურ-მარილი<sup>3</sup> შხამისი.

16. ვახტანგ ზის თავის ტახტზედა, მან არ შედვა თავსაო,  
მამადყულ წიგნსა უზავნის გიორგის ერისთავსაო:  
შენ ჩემკენ იყავ, მე ვიცი, რას უზამ იმათ ავსაო,  
და იმ ერისთავმა რატომ ქნა, ბაქარ არ ითავსაო.

17. წიგნსა სწერს დარბაისელთა მოტყუებით და მელობით:  
ქართლი მე მამცა ყეენმა მთითა, ბარით და ველობით,  
არ შევიცილებ მე კაცსა, ჩემი ყოფილა ძველობით,  
და მაგრამ ვერა სჯობს ვახტანგსა ჰკუით, რჩევით და ქუელობით.

18. ვახტანგ უბძანა: „ეს ქართლი შენი ყოფილა აროდეს,  
კახეთი შენ და ქართლი მე, ორისათვისვე კმაროდეს<sup>4</sup>“,  
სულ კახნი დარბაისელნი ქართლის დაჭერას ჩქაროდეს,  
და ორთავ დაკარგეს ჯავრითა, ქართლზე ურუმნი ხაროდეს.

19. არ დაუცალა ქალაქი, არც ქართლი ღაანება მან,  
ვერა უყო რა მუქარამ, კმალზე კელისა დებამან,  
ვახტანგ შესტირა უფალსა, ცრემლით შეისხა ქება მან,  
და სამართალი და აა კმალი, ვის მისცეს ღვთის ბრძანებამან.
20. კახს ბატონს გული უზრუნველისა, უყურებს თფილის ქალაქსა,  
როდის იქნება წავიდეს, მე დავჯდე იმის ალაგსა,  
ვინც მივა ქართველი კაცი, ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა,  
და ვის გაუწყრება, თავს უნაყს, მალ მისცემს კელში ჯალათსა.
21. ვახტანგ ზის თავის ტახტზედა, ელის ღვთისაგან შველასა,  
ლმერთსა შესტირის ცრემლითა, ჩვენ ვხედავთ ლაწვესთა სველასა,  
მე მამარჩინე სატანას ამ ეშმაკსა და გველასა<sup>5</sup>,  
და ტკბილად უბძანებს ქართლელებს, გულს უდებდა ყუელასა.
22. უბძანა: „დარბაისელნო, კარგა მამივდეთ ყურია,  
გადამეკიდა მე მტერი, თქვენც იცით სადაურია,  
ერეკლემ ერთხელ იშოვნა, ჩვენზედ<sup>6</sup> იძია შურია,  
და ახლა ეს გადამეკიდა, სწადს გამიმწაროს პურია,
23. თქვენ არ მიმტყუნებთ, მე ვიცი, თუ მე რას უზამ ამასა,  
ცოტას ხანს ქართლი ეჭირა ერეკლეს ამის მაბასა,  
განა არ ვიცი, რა გიყოთ—პურსა გაჭმევდათ შხამასა,  
და მე მიკვირს თქვენგან, რას აქნევთ ბატონსა არამგამასა.
24. არ გიკვირს იმ ერისთვისა, ქართლი იმანვე არია<sup>7</sup>,  
მე მილალატა, გადმიდგა, მამადყულს მისცა ქარია<sup>8</sup>,  
დავემოყურე და მიმაჩნდა, ვასიძე მე ბაქარია,  
და უბძანებია, გადვაგდებ, და ჩემზედ უმაქარია.
25. არ ვეჭობ<sup>9</sup>, შერჩეს ნიადაგ ჩვენი სისხლისა დებანი,  
რათ მოინდომა გულითა მან ჩვენი ამოგდებანი,  
ზოგი დაგუკარგა, გვიმტერა, ზოგს უყო გადაგდებანი,  
და აელში ჩაგიგდო, მას უყო თავი ქვეშ ამოდებანი.“

26. კახი ბატონი დაფიქრდა: ეს ასე არ იქმნებისო, თუ არ შევიდებ მე თავსა, ეს საქმე წამიკდებისო, თუ არ მოვასხამ ლაშქარსა, ეს არსად გამეცლებისო, და სულ ავაოხჩებ<sup>10</sup> ქალაქსა, თუ ხანი დამეცლებისო.
27. კაცი აფრინა ყოველგნით, დღივ და ღამ სულ არია, დავედრა: თავს ნუ დაზოგავ, ავდარი იყოს დარია, არაზე ზეითი ლაშქარი ახლავ აქ შემამყარია, და ღვთის მაღლმა იქ ვიახლები, სადაც რომ ვახტანგ არია.
28. რა მოვიდა ჯარი მრავალი, გზა გამოევლო შორია, არაზე ზეითი ლაშქარი და დიდი ხანი არია, სულ დაიჭირეს კრწანისი ციხე და გარ თაბორია, და მრავალი მოჰყვა კარავი, ცხენი, აქლემი, ჯორია.
29. კრწანისის ბოლოს შეიბნენ, ომი შეიქმნა ძრიალი, მოიკრა ბაქარ კელი, ფრანგულმა შექმნა ბრიალი, შევიდა შუას რაზმშია, ლომივით შექნა ტრიალი, და ნუმც დეელევა კახს ბატონს, რაც რომ დამართა რიალი.
30. გაიქცა კახი ბატონი, ბაქარს კელთ დარჩა ჯარია, ტარიელს უგავს მას ომი, შეშვენის ცხენ აბჯარია, მრავალი კაცი გაწყვიტა<sup>11</sup>, რიყეთ ეყარა მკდარია, და შორს ჩამოაგდის მან კაცი, გაშალა გძელი მყარია.
31. დილას შეიბნენ ქართველნი, იქმნა მზე ამოსულია, ექვს საათს ომი გადაწყდა, შუა დღე გადასულია, ბევრი გაწყვიტეს<sup>12</sup> თათარი, იქმნა სულ-ამოსულია, და კოცენ და აღარ ალაყბეს თათრული და არც სპარსულია.
32. სულ ყუელა გააყრევინეს ცხენი, აქლემი, ჯორია, კარავი მოფენილობით, ქეჩა სუზანი დორია, იაფათ ჰყიდნენ აქლემსა, ერთ თუმნათ იყო ორია, და ქირმანულს შალებს მზერითა თუალი ვერ მოვაშორია.

33. რაც ხანი იყო ყველასა გააყრევინეს დროშები <sup>13</sup>,  
გაყარეს ტანისამოსი, ბაყალმანდსა აქვს ყოშები,  
მალე გაიქცნენ, ყოფილან კაცნი ბრიყვნი და ბოშები,  
და უნდოდათ მაგრამ, ვერ ჭამეს ზურგიელი და დოშები.

34. გაქცეულს ლაშქარს გაუდგნენ, ჰეოცენ და ჭრიან თავებსა,  
ვერ მიეწივნენ კახს ბატონს, ქვეყნისა გამათავებსა,  
ნახეთ იმისი გაქცევა, თუ რას მოიყვანს რაებსა,  
და თავს დასხამს ლეკის ლაშქარსა, ქვეყანას გაათავებსა.

35. ბაქარ ნავარდობს ქორივით, ყოველ დღივ გადიკდის ომსაო,  
ხან იქ დაესხმის, ხან იქა, ვერავინ ნახავს მჯდომსაო,  
თეიმურაზ ზის ციხეში, ისვრის ძალიანს თოფსაო,  
და არ ეშინიან ბაქარსა, როგორც რომ თხისგან ლომსაო.

36. მოვიდა ბაქარ მამასთან, აქვს მხიარული პირია,  
მისჭირვებია ომშია, გადაკედია ჭირია,  
გვაგდევ მე ჩვენი მტერი, ნუგეშინის, ნულარ სტირია,  
და შევუტივე და გამექცა, ბევრი ვაგინე პირია.

37. ჰკადრა მამასა: გამექცნენ, ვერა აქუს მამაცი გულია,  
სრულად დავფანტე ლაშქარი, გამექცა მამაღყულია,  
მე ვეპობ, იქ წავიდა, ვისიც ერთგული ყულია,  
და კიდევ მობძანდი ქართლშია, მოდი და მამაღყულია.

38. ქართველთა დასჭრეს თავები თუშთა, კახა <sup>14</sup> და თათრისა,  
მოართვეს ვახტანგს, შეიქნა მდივნისაგან წერა დავთრისა,  
ეს მე მოვჭერო, ეს ამან, აღარვის ჰქონდა ხათრისა,  
და მტერი დაჩაგრეს გალაღდენ, აწ ეშინიან მათ რისა?

39. გაიქცა კახი <sup>15</sup> ბატონი, მაგრამ <sup>16</sup> კიდევ მოვა და  
შოულობს ლეკის ლაშქარსა, დარბის და მივა მოვა და,  
ნახევარ ადლი შილაი, ლამის კადა და <sup>17</sup> მოვადა,  
და დაჭკოცენ, ქართველთ იძახდენ, ძმაშ ვერ მიშველოს, მოვადა.

40. წავიდა კახი<sup>15</sup> ბატონი გაქცეულ გაშილებული,  
შეშჩივლა ლეკთა: დამმართეს მე ქართველთ საქმე ვებული,  
მათზე მილაშქრეთ, მიშველეთ, კმალი გარტყიათ ქებული,  
და კელთ მოგცემ, რაც მაბადია, მე სარალოში დებული.

41. უკან მამყევით მე, მტრისა თქვენ ჯავრი ამამყარეთა,  
ის გადააგდევით ტახტიდამ, მე დამსვით, დამაშყარეთა,  
კელთ მოგცემ თბილის ქალაქსა, მათ დღენი გაუმწარეთა,  
და მათი ცოლ-შვილი ქონება თქვენს კელთა მიაბარეთა.

42. ლეკის ლაშქარი გამოჰყვა, კიდი არ ჩაქციესო,  
თაბორზე ვახტანგს დაესხნენ, იქიდამ გააქციესო,  
დარბაისელნი ამოსწყდენ, სისხლი იქ დააქციესო,  
და მერმე მიაღგნენ ქალაქსა, გატეხეს, და აქციესო.

43. დაწვეს, დადაგეს ქალაქი, მათ უყვეს ცეცხლისა კიდება,  
სრულად წართვეს ქონება, ვისაც რა ჰქონდა<sup>18</sup> დიდება,  
დატყვევდა მრავალი ქალი, კელს უყვეს კელის კიდება,  
და ასე მოუკედა ქვეყანას იმათი გადაკიდება.

44. ანაზღათ კახმა ბატონმა მათ თავსა დასუა მეხია,  
როდეს აშენდა ქალაქი, ვერა ვის გაუტეხია,  
ნეტამუა დედის იმისთვის, ცოტა რამ შილა მეხია,  
და ასრე არ გაოკრდებოდა ქართველი, არც სომეხია.

45. ქალაქში დაჯდა ბატონად, ქართლი უნდოდა გულითა,  
მოქალაქეებს უშიხთლა, ვერ შეიჯერეს ფლურითა,  
იმათმა უსამართლობამ ვეჭობ დაკარგოს სულითა,  
და კელთ იგდო ბაქარ, ვაგლახ მას, თავი ვერ მოსჭრა ცულითა.

46. გააღეს კარი ციხისა, გამოსქდა ციხის თათარია,  
იმათ გატეხეს სიონი, აიკლეს ბევრი ფართარია,  
სიონის ხატი წაიღეს, არავინ იცის სად არია,  
და დატყუევდა დეკანოზე, კაცი წმინდათა სადარია.

47. ის ხომ ორ თუმნათ დაიხსნეს, ხატი კი დაიკარგაო,  
არ იცით, თბილის ქალაქი უმისოდ აღარ ვარგაო,  
მე ვეჭობ <sup>19</sup>, კახო ბატონო, ვერა ჰექნ საქმე კარგაო,  
და ის კი დაპკარგე ქართლშია, მითხარ სადა დაიბარგაო.

48. ცოტა რამ ხანი გამოკლა, წამოდგა ურუმთ ლაშქარი,  
თრიალეთზედ რომ მივიდა, წინ მიეგება ბაქარი,  
დიალ იამათ მათ მისლვა, პირში ჩაუდვეს შაქარი,  
და მტერსა ექადდა დაჭერას დიდი ოქრო და მასქარი.

46. მიუძლვა ციხის თათრებზე, აიკლეს ცოლ-შეილითაო,  
სულ დაიჭირეს ციხე და მეტები ნარიყლითაო,  
მე ვეჭობ <sup>19</sup>, ქართველს ბატონსა თქვენ ველარ გამოსცლითაო,  
და კაცმა რომ მტერი ჩაჩაგროს, აჯობოს ამ ჭკუითაო.

49. მაშ ასე უნდა, კაი კაცმა იყაროს მტრისა ჯავრია,  
ბაქარ თაბორზედ აბძანდა, ციხეში დადგა ჯარია,  
კახი ბატონი შეიპყრეს <sup>20</sup>, წართვეს მას ხანჯარია,  
და ლომივით ბრდლვინავს ბაქარი, მალლა ხლტის ვით კანჯარია.

51. თაბორზედ გვერდსა <sup>21</sup> იახლენ ორნივე ერისთავები,  
პირ წმიდათ <sup>22</sup> არის გიორგი ქვეყნისა გამათავები <sup>23</sup>,  
და რადგან მოუდგა ერთგულად, არს პირის გამთავები  
და რადგან შენ გნახე ცოცხალმან, შენთვინ დავიკლა თავები.

52. იასესათვის ებძანა: შენ მიეგებე წინაო,  
მანამ არ ნახო შენ ბაქარ, ძილსა ნუ დაიძინაო,  
რადგან ის ვნახეთ ცოცხალთა, ჩვენ რაღასა ვიქთ შინაო,  
და მანეულს შემოეყარა, გალიმდა, გაიცინაო.

53. მოუდგნენ დიალ ერთგულად ორნივე ტკბილი, ძმანები,  
აღარ მოშორდენ არსითა, ერთის თუალისა წამენი,  
ხატზე შეფიცეს გულ წმიდათ, მათვე დაუცეს ამენი,  
და რატომ ახდენდით ამათა, შვილნიცა იყუნენ და ყმანები.

54. ဠ ၈ გაგეყრებით ცოცხალი არც ლხინშა, არც ჭირშია,  
რომელსაც მტერზე მიგვისევ, ჩვენ მოვსჭრით თავსა ძირშია,  
ჩვენ ორნი ქმანი გახლავართ, გვუყურე გასაჭირშია,  
და მაგრამ რა გიყოთ, ჩავარდი დიდის ვეშაპის პირშია.

55. თაბორზე დადგეს კარავი, აღარ აეწვი მტრისა შიშია,  
გვერდს :<sup>4</sup> ახლავს ერისთავები, ერთი სჯობს გასაჭირშია,  
ურუმთ ლაშქარი აქ არი სიმრავლით ვითა ქვიშია,  
და უხარის მოქალაქეთა, აღარ ვართ მგლისა პირშია.

56. წავიდეთ, ვნახოთ ბაქარი, ჩვენ შევაბრალოთ თავია,  
ყველა შევჩივლოთ, შევსტიროთ, რაც გვიყუეს ჩვენ კახთავია,  
იმათამც გადაკედია, რაც ჩვენ გვაძახეს ვაია <sup>25</sup>,  
და ვკადროთ ყველაი ბატონსა, რაც დღე დაგვიდგა შავია.

57. მოქალაქენი მოვიდნენ მტირალნი, ცრემლ დათხეული,  
სულა ძველ ძულით მოსილნი, თავს შალი შემოხვეული,  
სულით კორცამდი მოთხრილნი, საყელო გარდახეული,  
და რაც გვქონდა <sup>26</sup>, ჩვენ დაგუკარგა სულ მამა-პაპათეული.

58. ბაქარ გაჯავრდა, ჩავიდა მამალ-ყულ დაიჭირაო,  
მე მიკვირს, ჭკვიანშა კაცმა საქმე რად გაიჭირაო,  
რატომ არსაით წავიდა, თავსა რად უგდო ჭირაო,  
და მუახლის ზამბახას შვილი ქართლს როგორ დაიჭირაო.

59. ურუმთა მისცა კელშია, ეს შემინახეთ კარგაო,  
სულ ყველა მოატანინეთ, რაც რომე დამეკარგაო,  
მტრის ჯავრის ამოყრა უფროსი აღარ ვარგაო,  
და ესეცა ჰკითხეთ, ქართლშია დარგული რა რგაო?

60. კახი ბატონი დაფიქრდა: რა უნდა მე მჩართებდესო?  
რაც რომ მე უყავ ვახტანგსა, მე ვეპოვ <sup>9</sup> გადიკადესო,  
უფრთხილდებოდი ჩემს თავსა; მე გამახვიდეს ბადესო,  
და მათ აღასრულეს მტერობა, რა რომ დამეჭავესო.

61. დაჯდა კახდა ბატონმა, ახლა იხმარა ჭკუაო,  
ყმაწვილი არის ბაქარი, მალე მან მოატყუაო,  
პირობა მისცა ასეთი, მის დღეში არ უტყუაო,  
და იხსნა რაღგან რომ თავი მან პრაწი წა....ო

62. მე შევეხვეწო ბაქარსა, და მიხსნას სიკვდილისაგან,  
უცილოდ თავსა მამჭრიან, მე მეშინიან კლმისაგან,  
დახსნის იმედი არა მაქს არცა ყმისა, არცა ძმისაგნ,  
და მე კიდევ შველას მოველი ღვთისა და ბაქარისაგან.

63 ბაქარ უბძანა: იმედი ცოტას ხანს მოიჭირვეო,  
მე კი გაგიშვებ ისევე, როგორც რომ დაგიჭირეო,  
მე მეკვირს ჭკვიანმა კაცმა საქმე რად გაიჭირეო,  
და რად ამიოხრე ქალაქი, ქართლი რად დაიჭირეო.

64 რა წილი გედვა <sup>27</sup> ქართლშია, რად ამეოხრე ესაო,  
ამდენს ლაყაბს გერჩივნა ყანამ დაგეთესაო,  
შენი სიკვდილი მწადიან, რასა ვიქ უკეთესაო,  
და მაგრამ არ მოგკლავ <sup>28</sup>, იცოდი, თავდებად მოგცემ ღმერთსაო.

65 კაცი აახლო: ბობძანდი, ჩვენ ვნახოთ ერთმანერთია,  
არ მოგკლავ, ეს დაიჯერე, მოწამე იყოს ლმერთია,  
ორნივე ერთად გავერთნეთ, ჩვენ დავდვათ პირი ერთია,  
და მაგრამ კახნივე დაგვჩეუბენ, არს მამა პაპათ ზნეთია.

66 როს გამიჭირდეს, მიშველე, ისევ მე მოგეკარები,  
კაცნი არიან უპირო, ბრიყვნი და მიუმხდარები,  
კმალი ვკრათ ძალიანი, ჩვენ მიუფაროთ ფარები  
და ჩვენ გაუთენოთ ავი დღე, ვერ დაინახონ დარები.

67 რაღას ვაგძელებ სიტყვასა, მათ ერთმანერთი ნახესა,  
მათ სიყვარული, მოხვევნა ტკბილის ძმას დასახესა,  
ღმერთმან შემოგძლოს სიკეთე, გამომჟსენ ძნელსა მახესა,  
და გამგზავნე, არ დაშიჭირონ, კიდევ თათრებმა მნახესა.

68. კაცი გაგზავნა მაშინვე, მოუყვანინა ცხენია,  
ბედაური და ზერდაგი, მუკლში.აქუს სიფიცხენია,  
მან გაისტუმრა, აახლო დარბაისელთა ძენია,  
და უბძანა თან იახელით, არ ჰკადროთ სიმარცხენია.
69. კარგათ ქნა შანშემ ურჩივა კახის ბატონის საჭმელ,  
ავი არა ქნას შენზედა, აწ უთავდებებ მათ მეო,  
რაცა ავი გიყო, ყველაყა ღვთის გულისათვს დასომელ,  
და თუ პირს მიუტეხენ, მე ღვთითა კახეთსაც სულ წავაროთმელ.
70. ის როგორ მიზამს, ჩემზედა<sup>29</sup> მან ამოილოს კმალია,  
ყოველმა კაცმა რაც ჩაზედ დაზდევ ვაძლია,  
ვიცი კახს ბატონს ნიადაგ ქართლზე უჭირავს თუალია,  
და დამტერებია ქალაქსა, გულზედ ასვია ძვალია.
71. წავიდა მამალ-ყულიხან, ეწივა გულის ნებასა,  
ყულარალასი თან ახლავს, ვინ ღირსა მის ხლებასა,  
ერასთვის შვილი იასე ყურს უგდებს მის ბძანებასა,  
და<sup>30</sup> ქალაქშილარჩა ბაქარი სიკვდილსა, ბაქარს შეასხამს ქებასა.
72. ქალაქში დარჩა ბაქარი, არ მისცეს თუალთა რულია,  
მშვიდი, მდაბალი, მოწყალე, ყოვლის ცოდნით სრულია,  
უხვად გამცემი, არა შურს მას კაცისათვის სულია,  
და სანამდი ჰქონდა, აძლია თათრებს თეთრი და ფრულია.
73. შანშემ ურჩივა: წავიდეთ, არ გითავებ პირსაო,  
მტრის ჯავრი ამოვიყრია და ციხის თათრებისაო<sup>31</sup>,  
იქეთ რუსეთი ახლოა, სიმაგრე მე მაქუს მთისაო,  
და კელმწიფის იმედიცა გვაქუს, გვიშველის ეგებისაო.
74. რაც გითხრა, ის დაიჯერე, კარგა მამიგდე ყურია,  
არ იცი, ქართველთ აქამდი კლმით უჭამია პურია,  
უწინც მოსულან ძველათა შეყრილი ქართლს ურუმია.  
და ქართველებს გაუწყვეტია<sup>32</sup> მათ ჩვენი სისხლ, პურია.

75. შენ კი არ იცი, ყმაწვილო, ძნელსა ბაღესა გაები,  
ჯერ ყმაწვილი ხარ, არ იცი, რა გადაკედია რაები,  
ამათ რომ ყური მიუგდოთ, მერმე დაგვეადონ ტყავები,  
და მოდი კამალი ვკრათ, რაც იქნას, მალა გადავდვათ თავები.

76. თუ დამიჯერებ, ასე სჯობს ეს ჩემი გამორჩეული,  
ყმაცა ვარ, ნათესავიცა, არა ვარ კაცი ეული,  
მე ვჯერვარ მამკასგან აქ დიდი ჯარ ძლეული,  
და ვახსენოთ ლმერთი, ვიომოთ ეს წელიწადი წლეული.

77. ვაი, თუ არც შენ დაგინდონ და შეგაზარონ თავია,  
კაცსა არ გაადიდებენ, ესე სჭირს ამათ ავია,  
მტერი ეს იყო დაჩაგრე, ბოლომდი გაათავია  
და რაც დაგაბარა მამამა, სიტყვები არ უთავია.

78. კარგი რამ იყო ის ფაშა, ბაქარ რომ ჩაიყვანაო,  
მაისში ჩავლო სომხითი, ერთი არ წაკდა ყანაო,  
დიალ უყვარდა ბაქარი და შვილად აიყვანაო,  
და მას გასწყრომოდა ხეანთქარი, ისევ მან წაიყვანაო.

79. წამოიყვანეს გზაზედა და თავი მოიწამლა მან,  
ბედმა უტყუა, ჰეჭუამა, მერმე ქართლისკენ წავლამან,  
ის გაათავა კელმწიფის შიშმან, რიდვამ და კრძალვამან  
და ავად ქნა, არ დაიჯერა დიდის კელმწიფის სწავლა მან.

80. ის გადიცვალა ამ სოფლით, სხვა დაჯდა იმის ალაგსა,  
დიარ ბეგირის ფაშაა, არავის აძლევს ხალათსა,  
მათ ძალი უყვეს ქართლსა და მერმე თბილის ქალაქსა  
და ქართლი მოთხარა სულობით, არ იკლებს მის სალამათსა.

81. ყოფნა მისჭირდა ბაქარსა და თავი დააღონაო:  
ამათ მოსლვა ქართლშია ნეტარ რამ მამაგონაო,  
ნეტაი ამათი სიტყვა ყურით არ გამაგონაო  
და ამათ გარდავრჩი, არ მინდა იმათი ქართლის შოვნაო.

82. ადგა და დასტური სთხოა, წავალ მოუტევ ქორსაო,  
ლამით აჰყიდა, რაც ჰქონდა სამსა ყათარსა ჯორსაო,  
ყმათ უთხრა: ახლოს ვიქნები, არ წავალ გზასა შორსაო,  
და სად ვიყო, ის მამიტანეთ, ნუ მიზღვთ ცუდსა ჭორსაო.

83. ფაშას ეწყინა, რომ უთხრეს, შენ ბაქარ გაგეპარაო,  
მას ფერი ექცა, კენალარ კორცი სული გაეყარაო,  
ეხვეწა, აღარ მიენდო, სიტყვები გაუკმარაო  
და კელში მეჭირა, აგრეცა ჯავრი ამომეყარაო.

84. წავიდა, მთასა მოება, ვითა მწყაზარი ქორია,  
დააგდო თბილის ქალაქი, იმან გზა გავლო შორია,  
არცერთი აღარ ინდომა აქლემი, არცა ჯორია,  
და სახლი არა აქვს სართული, ნაღირთა თანა სწორია,

85. ექვსი თვე მთაში იარა, მას თავი ფარს ზდებია,  
ლხინობს, ნადირობს, თამაშობს, მაგრამ ქვეშ არა გებია,  
გულში შიში აქვს მტრისაგან, მას კელი კმალზე გებია,  
და სხვას ყმაწვილს იმ ტოლს ეს ჭირი არავის დამართებია.

85. ვახტანგს იამა დიალა, რომ ბაქარ გაიპარაო,  
რაც კაცი ახლდა ერთგულნი, სულ ყველა შეიყარაო,  
წავიდა ქართლი დააგდო, ცოლ-შვილით აიყარაო,  
და ასე გამიკდა მე საქმე, აღარ მედგომის, არაო.

87. კაცი აფრინა <sup>ვა</sup> შვილთანა: შენ აქ გამოდი მალეო,  
ვერ ხედავ, ქართლი წაგვართვეს, წამოდი დაუცალეო,  
აქ მოდი ჩემთან, ვარჩიოთ, დამეხსენ, დამაცალეო,  
და ეგ ფაშა წავა ალავე, სხვა მოვა მონაცვალეო.

88. ადგა, წავიდა ბაქარი და მამას შეეყარაო,  
ასე უნდოდა ფაშასა, სულ კელში ჩაეყარაო,  
ვაი მათს მოშორვებულსა, ჩვენ ვეღარა ვნახეთ დარაო,  
და რაც მათთან ლხინი მენახა, სულ ყუელა დამემწარაო.

89. წავიდნენ, რუსეთს მიმართეს ცოლ-შვილით დარბაისლითა,  
წინ მოაგებეს ლაშქარი, იამათ იმის მისლვითა,  
აღარ მოვიდა ქართლში მზე, აივსო ლრუბლით ნისლითა,  
და ურუმნი კელსა იბანენ ქართველებისა სისხლითა.

90. მე ვახტანგ მეფე მენახოს სარკის სახლშია მჯდომარე,  
იშვებდეს გამდიდრებული, გული არ ჰქონდეს მწყრომარე,  
ქართველთ დარბაისელნი იყვნენ მისთანა მსხდომარე,  
და მტერნი აუდგნენ ყოველგნით, არ ჰყვანდა მას მეომარე.

91. ახლა დავიწყებ ანბავსა მეფის ვახტანგისსასა,  
ქართლი დააგდო, წავიდა, ძირს დადგა დიდის მთისასა,  
წავა ცოლ-შვილით რუსეთსა, ახსენებს <sup>ვა</sup> სახელსა ლთისასა,  
და კმალი არა ჰკრა ხვანთქარსა, უყურე ჭკუს მისასა.

92. წავიდა, რუსეთს მიმართეს, დააგდებს ქართლის არესო,  
მზე მიიფარა ქართლშია, ველარა ნახვენ დარესო,  
ლეკნი, ურუმნი, აჯამნი მას ზედა შეიყარესო,  
და რომ არ გასცლოდა, რა ექნა, ყუელამ შეახარესო.

93. ამდენი ლხინი არ ახსოვს, გადამკედია ჭირისა,  
უმისოდ ქართლში ვინც დარჩა, ზის და გულ მდულრად ტირისა,  
ძირ მოდგმით დავითიანი, შვილი იახეს ძირისა,  
და მას საბატონყმოდ ვინ სჯობდა ჭკვიან ერთის პირისა.

94. წესი ყოფილა ურუმთა, მათ ფაშა გამოსცვალესა,  
ეს ავი რიგი სცოდნიათ, მას წლამდი არ აცალესა,  
ქართლს უყო ძალი ყუელამა, ტყვისაგან დასცალესა,  
და ვინც რომ გაუსწრო, წავიდა, ცოლ-შვილით გააცალესა.

95. აწ რაჯაფ ფაშას უბძანა: ქართლისკენ წადი მალეო,  
ნუ ააოკრებ სულობით, დაცევ, შეიწყალეო,  
რაც იყოს დიდროანი კაცი, სუ ყუელა გამოსცვალეო,  
და ჩემს ორგულს ნულარ აცოცხლებ, სულთაგან სულ დასცალეო.

96. მოვიდა დაჯდა ქალაქში, ღმერთმა ნუ დაამყარაო, ვისაც რომ თეთრი შეგულა, ვინ იცის წაართვა რაო, ბევრი დაპეოცა ვაჟკაცი, ცოლშვილი გაუმწარაო და ზოგი აიკლო უწყალოდ, ზოგი გაყარა გარაო.
97. უღმერთო იყო წყეული, უბრალოს კაცის მკლელია, არ შეიბრალის, მან მოკლის, იყო სისხლისა მლრელია, მასცა ეკითხვის, როდესაც ლვთისაგან მე მოველია, და ისიც მოკვდების კლმისაგან, შესჭამს ტურა და მელია.
98. ერთს დღეს უღლთომან სამას კაცს თავი გააგდებინა, მრავალი კაცი შეშინდა, სამკვიდრო დააგდებინა, თეთრი და ფლური მრავალი სალაროს ჩაგდებინა, და ვისაც რომ თეთრი არ ჰქონდა, მამული დაადებინა.
99. ეროდეს მზგავსმა ცოდვა ქნა, კაცთაგან გასაკურვები: მდივნის შვილები დაპეოცა, ორნივე ძმანი ტკბილები, წმინდა მოწამე შეიქნენ გიორგი და მერკურები, და მამის ნაჭამმა ტყემალმა შვილებსა დასჭრა კბილები.
100. რა ჯავრი გჭირდა წყეულო, ქართლი რომ გაათავია, მდივნის შვილს დავითს და ზურაბს დააყრევინე თავია, უბრალო კაცი დაპეოცე, რა გიყუეს იმათ ავია? და შენს ცოლსაც ის დღე მოუვა, რაც იმათ ცოლთ თქუან<sup>35</sup> ვაია.
101. დავით აწამა უღლთომა კაცი მშვიდი და წყნარია, ყოვლის ცოდნითა შემკული მისთანა არსად არია<sup>36</sup>, ქრისტემ ადიდა დიდებით და მოწამეში გარია, და სამლთო და საკუცოდ<sup>37</sup> გაზღილი, წმინდის დიმიტრის დარია.
102. კახმა ბატონმა შეიტყო, რომ ვახტანგ აიყარაო, დააგდო ქართლი, წავიდა დიდი მთა გადიარაო, მაშინვე კაცი გაგზავნა, ლაშქარი შეიყარაო: და წავალ ამოვწყუეთ ურუმთა, ქართლს დავანებებ არაო.

103. მან შეიყარა ლაშქარი თუში, დიდო და ფშავია,  
ლმერთს შეეხვეწა ცრემლითა: ვარ შენზე დამნაშავია,  
შენ მამეც ძლევა მათზედა, დღე დაუყენო შავია  
და გლახას გაუყო კველაი <sup>38</sup>, რაც მაქუს, რაც მაშავია.

104. კაცი აახლო ერისთავს: შენ შეიყარე ჯარია,  
სად დაგიბარო, იქ მოდი, მალე <sup>39</sup> შემამეყარეა,  
მოგიკლეს შენც კარგი მამა, კაცი წმინდათა დარია,  
და ლმერთია მივენდოთ, შევებათ <sup>40</sup>, მათ თავსა დავსცეთ ზარია.

105 რა კაცი იყო, ვინ იცის, გიორგი ერისთავია,  
კაცი ფაჭიზად გაზდილი, დარბაისელთა თავია,  
იმ უსჯულოთა ვერ იცნეს, რად ჰკალრეს იმათ ავია,  
და უწყალოდ მოკლეს არამში, გააგდებინეს თავია.

106. როგორ ლირს იყვნენ სიკვდილსა გიორგის ერისთვისასა,  
შენ ყმაწვილი ხარ, არ იცი, არ დაიჯერებ სხვისასა,  
აწ მე მიყურე, თუ როგორ ვისისხლებ სისხლსა მისასა <sup>41</sup>  
და კაცს არ შევარჩენ მის სიკვდილს, როგორც რომ ჩემი ძმისასა

107. ამ დროში კაცი მისთანა <sup>42</sup> როდისლა გაიზდებისო,  
ცრემლი იცოდა მდუღარე, ლოცვაზედ მტკიცედ დგებისო,  
მალვით მისცემდის გლახასა, ვერავინ გაიგებდესო,  
და ქურივთა, ობოლთა მოწყალე მოწამედ ჩაიგდებისო.

108. ქართლი დაიპყრეს ურუმთა, ალარვის ჰქონდა ამება,  
გულით უნდოდა ერისთავს თავისის თავის წამება,  
მას მოუგონეს ურუმთა ტყუილად ცილის წამება,  
და თამამად წადგა ეწამა, აღილა წმინდა სამება.

109. კაცი აახლო ოთარსა: წამოდი, ნულარ სდგებია,  
ნულარას დაიგვიანებ, თუ იდგე, ნუ დასჯდებია,  
ეს შენ არ იცი, ქართლისათვის მე თავი გადმიდებია  
და ვერას დავაკლებ ჯავრითა, ჩემს კმალზედ ავეგებია.

110. ადგა მაშინვე ოთარმა, მალ შეიყარა ჯარია,  
მაღლა არტყია ფრანგული, ურკვია მას ხანჯარია,  
ეგების ღმერთმა მაღირსოს, ვიყარო მტრისა ჯავრია  
და მივენდო კახს ბატონსა, არს კაცი გამსაჯარია.
111. ოთარ წავიდა ლაშქრითა, უკან ეჭირა თუალია,  
ყმათ უთხრა: არ გებრალები? ცხენი არა მყავს მაღია,  
ღვთის მეტმა არვინ იცის, თუ ჩვენ თავს რა ზავალია.  
და მე მეშინიან მკდრისაგან, ჩემს ცხენს გააქცევს კმალია.
112. ჩქარა მოვიდა ბატონთან, თავდაბლა მისცემს სალამსა,  
მარჯვნივ დადგების ლაშქრითა, ამართებს თავის ალამსა,  
არ ეშინიან დაჭრისგან, თან არ იდევნებს ალამსა,  
და რაც ქართლს დამართეს, დაწერა არ შეუძლია კალამსა.
113. ფიცხლავ წამოხტა ბატონი, წამოეგება წინაო,  
გამხიარულდა გულშია, მისლვა არ მოიწყინაო,  
პირქუშად იყო მამაზე, ტირის არ გაიცინაო,  
და მან სამძიმარი მამისა უბრძანა, მე მეწყინაო.
114. დასხდენ და ილაპარაკეს, დადგნენ ომისა გზაზედა,  
წინ დახვდა მათ ერისთავი შანშე შეყრილი ქსანზედა,  
ომი სწალიან გულ-მართლა, მას კელი უძე კმალზედა,  
და ჯაჭვი ჩავიცვათ, დავიდგათ ჩვენ მოზარადი თავზედა.
115. შეიტყო რაჯაფ ფაშამა: მამად-ყულ მოვა ჯარითა,  
მას ფერი ექცა, გაყვითლდა, თავს ბრუ დაესხა ჯავრითა,  
მან გაუძახა ლაშქარი: თქუენ გორსა მიუსწარითა,  
და ეცადად, კელში ჩაიგდოთ, ფიცხლავ აქ ჩამომგვარითა.
116. ლაშქარს უთავა იასე და ახალციხის ფაშაო,  
მათ უთხრეს: ნუ აჩქარდები, იმან არ დაიმაშაო,  
მე ის არა ვარ, იმან რომ კაცები ათაშაო,  
და თავსა მოსჭრიდენ იმასა, არ გაჰპაროდა შარშაო.

117. იარა მამად-ყული-ხან, ხელთუბანს დადგა ჯარითა,  
ქართველნი შემოეყარნენ, გული სავსე აქვს ჯავრითა,  
ეს კაცი სრულად ამოგუწყუეტს <sup>\*3</sup>, თუ კიდევ გავაჯავრითა,  
და აწ ჩა ვქნათ, ამას ვერ მოვრჩით, ვერც დღისით, ვერცა მთვარითა.

118. მოვიდნენ სრულად ქართველნი, მაგრამ გულში აქუს რიდია,  
კმალი როგორ ვკრათ ხეანთქარსა, ჩვენ გვმართებს შიში დიდია,  
არ გაივლების მშრალათა, მტკუარზედ არა ძეს კიდია,  
და გამოგუაქცევენ, გვიძახდენ: ანასისტიგინ გიდია.

119. არ მოიწონებს ამასა კაცი ჭკვიანი, ბრძენია,  
ჩვენ რომ კმალი ვკრათ ხეანთქარსა, მოგონდეს საქმე ძველია,  
ვერას დავაკლებთ კეისარს; არტყია კმალი გძელია,  
და ქართლს აოკრებს ერთპირად, არ მორჩეს მამა ძენია,

120. ლუარსაბ მეფე ჯდომილა, მოსულა თათარხანია,  
არავის ახსოვს ქართლშია, გასულა დიდი ხანია,  
ქართველებს გაუწყვეტია ტაშის-კარს, ვითა თხანია,  
და ვერას გვიშველის ყენი, ვერცა ერევნის ხანია.

121. გული არა გვითქუამს ომისა: მე ვიცი გამოგვაქცევენ,  
ამოგვიწყუეტენ ლაშქარსა, სისხლსა ლვარულად აქცევენ,  
ააოკრებენ ქუეყანას, არ აშენებენ, აქცევენ, [ვენ-]  
და ჩვენ თუშთ აყოლარას გუარგებს, წავლენ, ზურგს შემოგვაქცე-

122. ჩამოკდა თედო-წმინდასა, დადგა ლაშქარი დიდია.  
მამაცად არის მამად-ყულ, არა აქუს მტრისა რიდია,  
ადრე აჰყარა ლაშქარი, იყო დილა და ბინდია,  
და სარდლობს, ასწავლის ლაშქარსა, მტერზე ამგუარად მიდია.

123. ადრე წავიდა, გავიდა ჯონისის ბოლოს ფონსაო,  
გორის ციხიდამ თათრები ისვრიან ზარბაზანსაო,  
მათ ვერა ქნეს რა ციხიდამ, როგორ დამიშლით ომსაო  
და არ მეშინიან მაგისგან, როგორც რომ თხისგან ლომშაო.

124. ქუაშავნი დადგნენ, არჩივეს შებმა ომისა დიღისა,  
არჩევენ, მაგრამ იმათი სიტყვა ცალ ცალკე მიღისა,  
მათ არ იციან, თუ როგორ დღე გაუთენდა ბინდისა,  
და ლმერთს თუ არა სწადს, თავისით კაცი არ გაადიღისა.

125. სითამამე და სიცრუვე, თუ ერთად შეიყრებისა,  
კაცს აალალებს, არიცის, თუ როგორ მამიკლებისა,  
საქმეს წააკდენს ამგუარი და მერმე შენანდებისა,  
და უფალი სახლს არ აშენებს, ამგები ცუდად შვრებისა.

126. კახი ბატონი წავიდა, მიმართა ზედა ველასა,  
კარგა შეიბით ლთის მაღლსა<sup>44</sup>, გულსა უდებდა ყუელასა,  
მათს ტანისამოსს იშოვნით, თქუენსა გადაყრით ძველასა,  
და ვიცი გავაქცევთ, ამოვსწყუეტთ, ლთისაგან ველი შველასა.

127. არჩივეს ომი, მაგრამ ეს რჩევა მოკლა ავათა,  
ზოგი წავიდა გუფთაზე, ოთარი მისცეს თავათა,  
მთის კაცი გარე ეხვია, მიეფინების შავათა,  
და მაგრამ გაქცევას აპირებს, ცხენი ჰყავს ვითა მწავათა.

128. იასემ მეფემ იარა, მას ახლავს ურუმთ ჯარია,  
მაგრამ ქართველთა ლაშქარი, თავსა დაეცა ზარია,  
რა ნახეს ურუმთ ლაშქარი, თავსა დაეცა ზარია,  
და მეფე იასე მოიწევს, ვითა ტრედზედა ბარია.

129. ატენის ბოლოს ქედია, ეტყვიან საარწივესა,  
იქ შეუტივეს ერთმანერთს, შეიბნეს შეერივესა,  
უწინ აჯობეს ქართველთა, გადრიკეს გააქცივესა  
და მრავალი სისხლი კაცისა იმათ იქ დააქცივესა.

130. იასემ მეფემ შეზძახა კახს ბატონს მამაცურადა:  
„ შენ იქ რასაიქ, რა გიძე, აქა მოსულხარ თუ რადა?  
არა გრცხვენიან, რამდენ ჯერ გამიქცევიხარ თხურადა,  
და გახსოვს, გაგაყრევინე იახტანი და სურადა? ”

131. კრწანის ბოლოს გამექეც, კელთ დაგურჩა შენი ჯარია,  
კელში ვერ გიგდე, მე შენი ამომეყარა ჯავრია,“  
შებს კელი სტაცა მაშინვე, საბლუჯს მიიცა ფარია  
და შეუტივა და გაექცა, გაფრინდა ვით კანჯარია.
132. არ გიკვირს, ქართლი ისევე ქართველებს გააქცევინეს,  
მრავალი სისხლი ქართველთა გუფთაში დააქცევინეს,  
გაგზავნეს კაცი ფონებზე, მათ გზები დააქცევინეს  
და არ დაირჩინეს ცოცხალი, თავი არ დახსნევინეს.
133. ომსა უჭვრეტდენ პირდაპირ ციხეში რაც თათარია,  
ნახეს იქიდამ ურუმთა ქართველთა ჯარი არია,  
მაშინვე შექნეს თქრიალი, გაალეს ციხის კარია  
და დასხდენ ცხენებსა, აიღეს მათი საომარია.
134. წინ დახვდენ შესვენებულნი, იმათ გაწყვტეს ბევრია,  
გაქცეულს ლაშქარს გაუდგნენ, მათ ააღინეს მტვერია,  
იტყვიან, ძველათ ურუმი ყოფილან ქართველთ მტერია,  
და თავი არ ჰყავანდა ქართველთა, ურუმი მით მოერია.
135. ქართველთ დარმა მოილურბლა, ალარ არის მზიანია,  
ბევრი კაცი ამოსწყვტეს და დაემართა ზიანია,  
გაასწორეს მთა და ბარი, მათ გაუადეს გზიანია,  
და თქმულა, ომი თავდაბალი არა არს თავაზიანდა.
136. კაცი მრავალი გუფთაში ურუმთა ამოსწყვტესა,  
არ დაირჩინეს ცოცხალი, სისხლსა ლუარულად ლვრიდესა,  
ხისტსა ისროდეს მწარესა, დაბანჩას მიისრიდესა  
და თავიანთ თოფსა აძლევდენ, და ისევ პატრონს ჰკრიდესა.
137. ბედაურს ცხენებზე ისხდეს, კაცი წაუა მათარია,  
რა შეუძლია ქუეითს კაცს, ისინი იყვნეს მზათარია,  
არავის სმია იმ დღესა, რომ ქართველთ დაემართა რია,  
და სისხლი სწყურიან ურუმთა, აივსეს, შესვეს მათარია.

138. აავსეს გუფთა მკდარითა, ცხენმა იარა ზედაო,  
ეს შენ ქენ კახო ბატონო, დაწყეულილო და ბედაო,  
სამჯერ ყათლანი ქართველთა დამართე ზედი ზედაო  
და ლეკს აკოცინე, ურუმსა, ღმერთს რატომ არ შეხედაო.

139. ათიოდიოდ თუში გამაგრდა, გუფთას რომ კიდის თავია,  
ვენაკში მისცეს ზურგი ზურგს, იმათ გადადვეს თავია,  
იომეს, კოცეს ურუმი, საქმე დამმართეს ავია,  
და კახი ბატონი გაიქცა, ქართლისა გამათავია.

140. ანაზდად გაუჩინარდა, სიმაგრისკენ წავიდა,  
ატენზე შეარბინეს, კვედურედზედა ჩავიდა,  
თვალი ეჭირა უკანა, სამწევრის ფონსა გავიდა  
და კახეთში თავი ამოყო, სალამოს მზე რომ ჩავიდა.

141. ის კი გაიქცა, ურუმთა ქართველნი მისცა პირშია,  
რაც რომ დაკოცეს ის იყო, თავები დასჭრეს ძირშია,  
ვინც რომ გარდარჩა სიკვდილსა, ჩაყარეს გასაჭირშია,  
და უპატრონი ქართველნი არიან ძნელსა ჭირშია.

142. გავიდნენ, გორსა ჩამოკლენ, დადგეს ნაომარია,  
გორი შეშინდა, შეხედეს, თავსა დაეცა ზარია,  
არამცა კახის ბატონის ჩვენზედა იყაროს ჯავრია,  
და ბევრი მოქონდათ <sup>45</sup> ნაცარცვი, თოფი, კმალი და ფარია.

143. მეორეს დღესა გავიდნენ თავები დასჭრეს მკდრებსაო,  
ზოგი-კი დაკოცილიყო, ზოგი დაჭრილი წევსაო,  
ბევრ სულსა ებძვის, ქვე გდია და უპატიოდ ძესაო,  
და თავ დაჭრილები გაყარეს, მამა ვერ იცნობს ძესაო.

144. თავები დასჭრეს, გავიდნენ, დაყარეს <sup>46</sup> მოედანზედა,  
მას გორელებმა დახედეს, კელსა იცემენ თავზედა,  
ამდენის გაცის დაჰკოცა არ ქნილა ქუეყანაზედა,  
და ამისი მქნელიმც მინახავს ვერ დაჯდომილ ტახტზედა!

145. ხუთი ურემი შეაბეს, ზედა დაადგეს ჯინია,  
ამდენის კაცის გაწყვეტა კახს ბატონს დაუჯინია,  
საღა ხარ, შაო სიკუდილო, სული კელს მოაბჯინია,  
და ამათიმც ცოდვა გკიდია მართ ვითა რა ხურჯინია!

146. წინ გაუძლვანეს თავებსა ერასტი დიანბეგია,  
ეს რაჯაფ ფაშას <sup>47</sup> მიართვი, თან გაატანეს ბეგია,  
იასემ მეფემ იომა, მას კელზე კმალი გებია,  
და სამასი ფლური უბოძა, მის მეტი არა რგებია.

147. მე საერისტოს ცოტას ხანს კიდევ უგდებდი ყურსაო,  
რადგან ჩემი ძმა წავიდა, ვინდა მაჭმევდა პურსაო,  
ვამბო(ბ) სანამდინ არ ვნახავ, თვალსა არ მივცემრულსაო,  
და ეს რა დამმართა სოფელმან, უყურე მტყუანს ცრუსაო.

148. ჩემა დისწულმა შანშემა კელი შემიწყო, იმედია,  
ალარ-სად რა მყავს მის მეტი, იმით მავქს მე იმედია,  
მოვშორდი ძმას, ძმისწულებს, ვიწვები <sup>48</sup> ვით აბედია,  
და წასლვაც მიჭირს, დადგომაცა, მალონებს ჩემი ბედია.

149. მითხრა: თუ არსად გაგვიშვებ, ჯერ ურუმთ უგდოთ ყურია,  
რას უზმენ ქართლსა, უყუროთ, ჩვენ საქმე აქაურია,  
არ დაგატყუონ ურუმთა, მათ არ იძიონ შურია,  
და მალ გაგზავნიან ხვანთქართან, მათ შენი ნახვა სურია.

150. მე რომ არ გირჩევ ამასა, თუ შენ ფაშასთან მიღია,  
სანამდი ვახტანგ აქ იყო, მათ ჰქონდათ დიდი რიდია,  
რახან ის რუსეთს წავიდა, ჩვენ გუმართებს შიში დიდია,  
და კელსა შეგიწყობ კარგათა, დაჯეგ და ლვინოს სმიდია.

151. რაჯაფ ფაშა ზის ქალაქსა, კაცი ჰეროდეს დარია,  
გამოეგზავნა ყულები და თავის ჩოუადარია,  
მოვიდნენ მათ მამიტანეს, კელთ მამცეს საფიცარია,  
და წასვლის დროს ლონე არსით მაჭუს და თავის მოსაფარია,

152. მეორედ გამოეგზავნა, იმას სჯობს ეს საფიცარია,  
ხვანთქრის ოჯახი ეწერა და მისი დასამტკიცარია,  
ყველა მიშლიდა ჩასვლასა, იქ ჩემთან ვინაც არია,  
და თუ მიტყუებ ამ ფიცსა, ღვთის რისხვა იმათ მწარია!

153. ფაშა ახალციხისა ის მამცეს მე თავდებია,  
ამით მიბრიყვეს მე იმათ, აღარსად მყვანდა ძმებია,  
ყოფნა მიმჭირდა ავათა, მე ქვეშ არსადა მგებია,  
და ჩემის ჭკუისა იქნება, რაც ავი გადამკდებია.

154. ჩემი ძმაც იმან დაკარგა ეშმაკობით და მელობით,  
მე სტამბოლს გამომისტუმრა მოტყუებით და ქუელობით,  
ქართლი მას თურმე უნდოდა მთითა, ბარით და ველობით,  
და ეს არ ვიცოდი, ის ჩვენი მტერი ყოფილა ძველობით.

155. ხვანთქრის ოჯახი და ღმერთი მე მამცა მან თავდებია,  
ორივ გატეხა, მიტყუა, წაუწყმდა მაჰმადებია,  
ჩვენი სისხლი და ქართლისა ორივ მას თავსა სდებია,  
და ან გავათავებ იმასა, ან მეცა გავთავდებია.

156. გრძნებით მუცელი სავსე აქუს ტომარს ეშმაკისასა,  
როგორ არ დაუჯერებდი ღვთის ფიცს და კელმწიფისასა,  
ვერ დამიჭერდენ, მე ვიჯეგ ძირსა დიდისა მთისასა,  
და ვისაც ვნახევდი, ვკითხევდი ამბავსა ჩემის ძმისასა.

157. წამიძღვნენ მე ჩოქალრები, ჩავედით თბილის ქალაქსა,  
მიმიძღვნენ სასახლეშია, მე დამსვეს ჩემსა ალაგსა,  
შემიყარეს და შემიტკბეს, მალ-მალ მაძლევენ ხალათსა,  
და მიბძანა: თუ შენ არ გინდა, ჩვენ სად გაგზავნით ძალათსა!

158. მე დამატყუეს ურუმთა, არ კი ჩამიგდეს კელშია,  
ან კი რა მექნა, მიმჭირდა მე სიარული კლდეშია,  
ბევრი ეძებეს სიმტყუნე, ვერა პოეს რა ჩემშია,  
და ისინი მე არ მენახა, ჩოქა ჩამეცვა ხეშია.

159. რაჯაფ ფაშა მაწვია, ადგა დამისვა გვერდსაო,  
მიბრძანა: „კარგა გიქნია, არ გაჰყოლიხარ ძმებსაო,  
შენსა ტახტზედა დაბძანდი, გარ შემოგახვევ ყმებსაო,  
და მე არ ვიცოდი, ის თურმე სხვაგნით მიკეთებს გზებსაო.

160. მაშინვე მტერი ამიტყდა, რა ვიშევ მე დედისაგან,  
ბედი არ მქონდა ჩემ დღეში ჩემის გაზდილის ყმისაგან,  
ზურგი მოდრიკა ყველამა, არვიცი, მე მჭირს რისაგან,  
და სოფელს ვემდურვი სხვას არვის, დამმართა მე ბედისაგან.

161. ქათალიკოზად ვეკურთხე ტარ უანი ბანი ჯდებოდა,  
ჩემი ძმა იჯდა კელმწიფეთ, ჩემზეით ვინ დაჯდებოდა?  
რასაც შევატყვი ჭიუითა, ის ჩემი რჩევა ჯდებოდა,  
და როგორ მეგონა სხვა ბერი ჩემს ტახტზე ვინ დაჯდებოდა.

162. ტყუილი არ მოგახსენო, იმან მამიდვა ცეცხლია,  
რაც მქონდა ქრთამათ გავიღე ჩემი ოქრო და ვეცხლია,  
მანამდი ვეძებ ჩემს მტერსა, სანამ უპოო მეც ლლია,  
და ცრემლით შევსტირებ<sup>19</sup> უფალსა, რომ დავაყენო მეც ლია.

163. მამული კაცს უკდებოდეს არ მოუაროს მასაო,  
ზოგი კი არას ინალვლის, ლვინოს დაუწყებს სმასაო,  
ბატონს ყმა ჰყუანდეს მორჩილი, შვილსაცა სჯობს და ძმასაო,  
და თავსა დავდებ უცილოდ, ან-კი უშველი ყმასაო.

164. ქალაქში ვიყავ ცოტას ხანს, არსით მესმოდა რეკანი,  
მეჯავრებოდა თათრისა სიცილი, კბილთა ჩეკანი,  
მე უთხარ ჩემს თავს: გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი!  
და ავდგე, წავიღე ხვანთქართან, ფეხზე გადვიძრო მე კანი.

165. ამ ამბავზედა მოვიდა კელმწიფის მემანდარია,  
მისი გაზდილი ერთგული ემრი და ჩოკადარია,  
აქ ჩამაგვარეთ სათუთად, ვახტანგის ძმა თუ არია,  
და არ შეაწუხოთ გზაზედა, არ ეცეს ავი ქარია.

166. დაწერა რაჯაფ ფაშამა, კარგსა წიგნებსა მატანსა,  
წადი მიმართე ხვანთქარსა, მოშორდი ღიღსა სატანსა,  
ე არ ვიცოდი, ის თურმე შიგან კერკებსა ატანსა,  
და ბევრი გავზარდე ჩემი ყმა, მაგრამ ვინ გამამატანსა.

167. მე რომ ქალაქით წამოველ, თუ იცი, აპრილი იყო ოცია,  
გზაზე დამიცხა, მრავალ ჯერ მე ოფლი მომიკოცია,  
იმისმა ჯავრმა დამკარგა, ვისაც გადაყვა ცოცია,  
და მშრალად წაველ სტამბოლსა, ვიარე დღე ორმოცია.

168. თორმეტს დღეს მიველ აზრუმსა, იქ დავყავ დღენი შვიდია,  
მემანდარი მყავს მე კარგი, კაცი წყნარი და შვიდია,  
მე ქართლისათვის ვირჯები, ეგები დავამშვიდია,  
და მოყვდე, შენდობა მიბძანოთ, მიკადონ პანაშვიდია.

169. მოველ, დამიხვდა მდიდარი ქალაქი თოლათისაო,  
მაპატიებდენ, შძლნობდიან, როგორც რომ ძმას თვისსაო,  
გულში არა მაქვს მე შიში, მინდობილი ვარ ღვთისაო,  
და ვაი თუ ქართლი აოკრდეს, ახლა მივენდო ვისაო!

170. ცოტას ხანს იქ მოვისვენე, მე ვიყავ ჩემსა ნებასა,  
მოვიდოდიან ხუცები, მე შემასხმიდენ ქებასა,  
კარგა გიქნია წამოსლვა, მეტყოდენ გულის დებასა,  
და ეგებ ქართლს რამე უშველო, ესე სჯობს მიღ-მოდებასა.

171. იმის ახლოს არს საფლავი იოანე ოქროპირისა,  
შემწე არს ჩემებრ ცოდვილთა, მკურნალი ყოვლის ჭირისა,  
კუკუსო ჰქვიან სოფელსა, კიდე არს წყლისა პირისა,  
და მიველ, ვილოცე ცრემლითა, შემწე არს კაცის მწირისა.

172. დარით ვიარე ულრუბლოთ, კმა არ მსმია ქუხისა,  
მემანდარი მყავს ბეჯითი, თვალი არ მოიჭუხისა,  
რომ მამაგონდის მე ქართლი, ნალველმა შემაწუხისა  
და მე მამეწონა ციხე და კიდი ოსმანჯუხისა.

173. ჩემს მემანდარსა უხარის ნახვა თავისის სახლისა,  
ოსმანჯუხს სახლობს, რა გითხრა. გაწყობა მის სასახლისა!  
ნაშორიან მოვიდა, მოჰყვა ტყვეები კახისა,  
და ხუთი დღე არ გამიშვა, მაჩუქა, მალ მალ მნახისა.

174. იქ ვნახე, დიალ გავკვირდი, უცხოდ ნაგები კიდია,  
ოცდა ათი კამარა ქონდა და დიდი ბურჯი შვიდია.  
თლილის ქვით აშენებული, შვენიერი და დიდია,  
და ურემი ურემს აუქცევს, არა აქვს დაქცევის რიდია.

175. ვეშურები ხვანთქართან ქართლისთვს თავ დადებულია,  
მივედით ამასიასა, ტურფად არს გარიგებული,  
წმინდა ბასილი იქ არის საფლავსა შინა დებული,  
და ვილოცე წმინდა მოწამე ლვთისაგან პატივდებული.

176. უწამებია ბასილი წყეულს ლიკინოზს მეფესა,  
უსჯულოს, მტერსა ლთისასა, მოწამეთ სისხლის მჩქეფესა,  
ჯოჯოხეთშია თავდალმა ჩავარდნილს, ძალლსა მყეფელსა,  
და დაჭრეს მტარვალთა ცალ ცალკე, მას ასო დააკეფესა.

177. ზღვაში ჩაყარეს დაჭრილი, უფალმან შეაერთაო,  
ლთის ბძანებით ეპოვნა კაცთა მონადირეთაო,  
ქრისტემან მოსცა საოხად თავის ცოდვილი ერთაო,  
და შემტკიცებული ნათლითა გავს კაცთა სახიერთაო.

178. იქიდამ წაველ, ვიარე გადვიხდი დიდსა ჭირსაო,  
გულსა მიდებენ ნუგეშინის, ნახავ კელმწიფის პირსაო,  
დიდის კელმწიფის შესწავლა, ვეჭობ შენს გარჯად ლირსაო,  
და მე ქართველთ სიბრალული მაქვს, იმათი საქმე ჭრისაო.

179 ყოველ-დღივ ვიარე, მიმჭირდა, დიალ დამიცხა გზაზედა,  
მოვშორდი ჩემსა საყოლსა, მე გული მტკივა ძმაზედა,  
მივედით ნიკომიდიას, ჩვენ დაგუსხეს სუფრას მზაზედა,  
და იზმითი ჰქვიან ქალაქსა, ნამეტნავია სხვაზედა.

180. მიველ გადავკე მღიღარსა ქალაქსა იზმითისასა,  
პანტელეიმონს ვილოცავ, წმინდას მოწამეს ღთისასა,  
განჰკურნებს ყოველს სნეულსა და ნაკბენს ასპიტისასა,  
და აქა მარხია პატივით ისევ საყდარსა ღვთისასა.

181. ძველის ენითა სახელად მას ჰქვიან ნიკომიღია,  
სნეული იყო, ეცადე, თუ შორს არ იყოს, მიღია,  
წამოდი, მალე განკურნებს, სჯობს ხანი დაყო დიღია,  
და ნუღარ გადიგდებ გულიდამ, გახსომდეს, ის აღიღია.

182. აშ გევედრები, წმინდაო, შენ მამიმართე კელია,  
უსჯულოს კელში ჩავარდნა შენ უწყი, როგორ ძნელია,  
მე რომ მაწამონ ის მინდა, იმათგან ამას ველია,  
და რომ გამიჭირდეს, განმამკნე, ღმერთი არს ჩემი მშველია.

183. მამეკარე, მოწამეო, მე მტრისაგან დაბმულსა,  
ეც წამალი სამკურნალო დაწყლულებულს ჩემსა გულსა,  
გამირკვიე გზა კეთილი მე ქართლითგან დაკარგულსა,  
და ნუ აღმიფხრი სიკეთესა მე ჩემს ყმაზე ამა გულსა!

184. მეორმოცესა დღეს მიველ ქალაქსა უსკუდარსაო,  
სამი დღე იქ მამასვენეს, მამაქარვებენ ჯავრსაო,  
პირ და პირ უჭვრეტ სასახლეს, ვხედავ კელმწიფის კარსაო,  
და შვენის და ნათობს ცეცხლივით, ზედამ რომ მოფენს დარსაო.

185. კელმწიფეს ებოძებინა თავის ჩოკადარ ბაშია,  
მოვიდა, მან მამიკითხა, თუ არ მიგჭირდა გზაშია,  
წამიძღვა, თან წამიყვანა, ჩამსვა კაისა ნავშია,  
და წინ მამაგება მე ცხენი, შევჯექ, არ იწევს თავშია.

186. მიმიძღვენ სასახლეშია აფენდის მუდმალისასა,  
ჩამოველ, შეველ, გავკვირდი სიტურფეს სასახლისასა,  
დიალ მოერთო, ვერ ვიტყვი სიკეთეს მე ბალისასა,  
და მაჩუქეს, მე განმისვენეს, როგორც რომ ჩემის ძმისასა.

187. კაცია პატიოსანი, ჭკვიანი, არ სუბუქია.  
ხვანთქარს სასახლე ახლოს აქვს, მოზღის სურნელის ბუქია,  
მზე რომ დადგეს სასახლეს, ანათებს მზისა შუქია,  
და ენა მოელო ამ კაცსა, ვისაც ტყუილად უქია.
188. სტამბოლს კელმწიფის სასახლე ზღვის პირს მაღლობზე დგა-  
ექეთ დაჭრეტს სტამბოლსა, იქით უყურებს ზღვასაო, [საო,  
მიღის და მოღის ხომალდი, ხედავს მის თამაშასაო,  
და ამისთანა სასახლე არა აქვს კელმწიფეს სხვასაო.
189. პეტრეპავლობას იქ ვიყავ, მე კარგი ლხინი ვნახეო,  
მოვიდოდიან, მჭრეტდიან, მოსწონდათ ჩემი სახეო,  
მე არ ვიცოდი, მტერებსა მოედგა ჩემთვის მახეო,  
და მე დამაბეზღეს კელმწიფეს, ცოტას ხანს შეინახეო.
190. მოერთმევინათ მათ არზა და ჩემი საბეზღარია,  
ნუ გამოუშვებთ მაგასა: კაცი მკნე, ქუელი არია,  
ქართლს ისევ მალე წაგართმევს, მაგან იშოვნა ჯარია,  
და ლმერთს მივენდევ, მე მტრისა მალ ამამყარა ჯავრია.
191. ნეტარ რას მემართლებიან, დავაგდევ ქართლის არეო,  
გამოვეცალე მტერებსა, დღივ და ღამ სულ ვიარეო,  
არც აქ დამეხსნენ, სწალიან მაჭამონ ლუკმა მწარეო,  
და ყველგან ამიტყდა ეშმაკი, სად თავი მოვაფარეო!
192. არ შემიბეზღა კელმწიფემ, პატივი მამცა კარგაო,  
ასე ეგონა ჩემს მტერსა, ეს არის დაიკარგაო,  
გულით მტერობა ამდენი უფროსი ალარ ვარგაო,  
და ვინცა დამაბეზღა, მაშინვე სოფლიდამ გაიბარგაო.
193. წინ წაგვიძლვნენ იქიდამე, დაგვაყენეს ზღვისა პირსა,  
სასახლეა დიალ კარგი, შიგ მრავალი სარკე ჭვირსა,  
მიღის, მოღის წინ ხომალდი, უკუ ვიყრი იმით ჭირსა,  
და მე მოვშორდი ჩემიანთ, ჩემი გული მათთვის ტირსა.

194. სტამბოლს დამიხვდენ ათხნივე წმიდანი პატრიარქები, ლრმა კაცნი, ფილასოფოსნი, მაგრამ ხვრისანთე ნაქები, უკადება ბარტყულა, ქუდი, ანაფორას აქვს ჩაქები, და ვცდილობ და ვერსად წაველ, შენ ჩემო თაო აქ ები.
195. უბძანა თურმე<sup>50</sup> ვეზირმა პატრიარქს სტანბოლისასა, „დაპატიუებდე<sup>51</sup> მალე მალ სჯულის თავს ქართველისასა, კაცს წმინდასა, უმანკოს, მხილველსა ნათელისასა, და მზისებრივ განბრწყინვებულსა, უნათლეს ნათლისასა“.
196. გამოეგზავნა პატრიარქს იღუმენი და ბერები: აქა მობძანდი ჩემთანა, გაუშვი ჭირი ბევრები, მიველ, ვიახელ, არს კაცი ტახტისა შესაფერება, და აქვს ტახტი პატიოსანი, დახატულ ფერად ფერები.
197. წინ მამაგება ჯვარ-ხატით მე შემოსვილი ხუცები, დიდროანის კელაპტრებით, გასტერდა კაცი უცები, კარგა დამიხვდა, თქვენმა მზემ, ტყუილად არ გეფუცები, და გულს უთხარ: ნულარ ინაღვლი, ახლა აეშვი, თუც ები.
198. იერემიას უწოდენ, სტამბოლის<sup>52</sup> პატრიაქსაო, დიალ მიაჩნდა ვეზირსა, პატიოსა ზდებდა კარგსაო, თამამად იყო სტამბოლში, უქებდენ ხარისხს და ბაქსაო, და ის გამოცვალეს წყეულთა, საღლა დადგების აქ საო.
199. იმ სადგომში რომ შეველ, მუშკამბრის სული მეცაო, იმის გამოცლა მეწყინა, მე დიალ ელდა მეცაო, ასე გააგდეს, ვერ ვნახე, რომ ნუგეშინის მეცაო, და ვინც დააბეზლა, ვერ ვპოვე, რომ მრავალი მეცაო.
200. ანტიოქიის პატრიარქს გაფრანგებოდა სამწყსოო, ისიც გააგდეს, იწყინეს, რომ ერი<sup>53</sup> ვერა დამწყსოო, აღარავინ დაჯდა მის ტახტზე, რომ იმის ალაგს დავსვოო<sup>54</sup>, და ყუელა შხამათა შეარგეს, რაცა ჭამა და რაცა სოო.

201. იელუსარემის პატრიარქის გავეწყევ, მალ მალ მნახისა,  
ლრმა კაცი, ფილასოფოსი, მსახველ ქვეყნის სახისა,  
ვარსკლავთ მრიცხველი, შვიდის ცის მზომელი ჩარხისა,  
და დროული ბატონი კაცი, ვინ იცის არის რა ხნისა.

202. კათალიკოზი ბძანდების მირულებული, მძინარე,  
კაცი მოვიდა საჩქაროდ: „თუ პატრიარქი შინ არე,  
კელმწიფე უკმობს, მობძანდეს“, მაგის დამშლელი ვინ არე.  
და ფიცხლავ წაბძანდა, ვეზირი მას მოეგება წინარე.

203. კეისრის ნახეა გველირსა დვინობისთვესა ორსაო,  
მიველ ვიახელ კელმწიფეს, მაღალსა ცათა სწორსაო,  
ვეზირი მალაპარაკა, თითონ მიყურებს შორსაო,  
და ის არ იკადრებს ტყუილსა, სიტყვას მიბძანებს სწორსაო.

204. წადგა უშიშრად, ვითარცა ესე ვეფხი და ლომია,  
შეხედეს, მათ მოეწონა, ყველა კაისა მდომია.  
გვერდს დაისვა, გულ-ტკბილად ელაპარაკა მჯდომია,  
და მეც იქ ვიყავ ცოდვილი, წილი მეც რამე მხდომია.

205. ვის ახსოვს, კათალიკოზი ასე ამ გვარად წამდგარა,  
ქართლისთვე შესახვეწებლად კელმწიფის ტახტს წინ დამდგარა!  
ერთი ეშმაკი აგვიტყდა, ბატონსა იქ შეადგა რა,  
და მალ შეუტევით, მაშინვე ჩვენ გავაგდევით ის გარა.

206. ბძანა: „ქართლშიავ გაგზავნი, კაის მოჭმით და დიდებით“.  
მან მოახსენა ანბავი შიშით, კრძალვით და რიდებით,  
ცოტას ხანს აქ გიახლები, ვიქ კალთას კელის კიდებით,  
და დაჯდა და აღარ წავიდა, ველარ დავძარით ჭიდებით.

207. ჩვენ ვდგავართ, ღმერთს ვეხვეწებით, ტირილით ცრემლით  
ლაპარაკობენ გულ-ტკბილად, ვითამცა თავის შინა არი, [მდინარი,  
განბრწყინვებული ნათლითა, ხურავს ბარტყულა მდინარი,  
და კელმწიფემ ბძანა, მიამბე, აქ შენი ურჩი ვინ არი.

208. მოახსენა: კელმწიფეო, ხარ ყოველგნით სახელ დებული,  
აქა გიახელ თქვენს წინა, ვარ თქვენგან მოწოდებული,  
არ მოგახსენო, მაშ რა ვქნა, ქართლი აოკრდა კებული,  
და ყველამ დაკარგა საჭურჭლე, ვისაც რამ ჰქონდა დებული“.

209. კელმწიფემ გული დაუდგა, აქუს მხიარული პირია:  
„აქ იყავ ჩემსა წინაშე, შენ გაზძელ ცოტა ჭირია,  
რადგან ჩემთან ხარ, ნუ გეშინის, იხარე ნულარ სტირია,  
და არ წავაკლინო მე ქართლი, ეს მამიცია პირია“.

210. ღმერთს მივეც დიდი მადლობა, კელმწიფის პირი ვნახეო,  
მათ ჩემი ნახვა იამათ, მოსწონდათ ჩემი სახეო,  
თავს უთხრა: „ნულარ გეშინის, აღარსითა გაქვს მახეო,  
და ღმერთიცა მწყალობს, კელმწიფეც, მაგრა ვერ დავინახეო“.

211. მე ვნახავ აისოფიას, ვილოცავ გულის წმინდითა,  
ბაირახტარი წაგვიძლვა, მივყავართ ჩვენ სიღიღითა,  
მივედით, ვნახეო, უებრო კიდის-კიდებდი კიდითა,  
და მაგრამ ეშმაკი თან ახლავს, უსარსარებდა კუდითა.

212. ეშმაკი ეუბნებოდა, საფრანგეთი სჯობს ამასო,  
რა სჯობს იქაურს წესებსა, გაცხვნებს იმავ წამსო,  
ბალში სიარულს ნიადაგ, დილაზე ვარდთა ნამასო,  
და სულ ტყუის, ძალლმა მი...ვა იგი პაპას და მამასო.

213. ებძანებინა ვეზირსა, გინდა, სეირი ნახეო,  
თუ გინდა, ბალში წაბძანდი, გასინჯე, შიგ დგა რა ხეო,  
სულ დავიარე საყდრები, არის სამოთხის სახეო,  
და ვეძებე ჩვენი ეშმაკი, მე ვეღარსადა ვნახეო.

214. ამ ეშმაკისა გიამბობ, ამისი გვარი რაც არი,  
გაფრანგდა მამა ამისი, იყო ქალაქის ნაცვალი,  
გააგდეს მოქალაქეთა, დაუნიაეს ნაცარი,  
და იმისი შვილი ოსება—სულ ეშმაკი, რაც არი.

215. შემოეტყუა ბატონსა სიტყვა და სიტყვა მრავალი,  
თარჯიმნობასა ჩემობდა, იყო აქა იქ მავალი,  
ამან დაგვჩეუბა კარზედა, აგვაღებინა რა ვალი,  
და იმან დაგვმართა, რაც რამე გადაგვედა გადასავალი.

216. ღმერთმან დაგვიხსნა იმისგან, მალ მოვრჩით იმასაცაო,  
ეშმაკი გაჩინაურდა, აწ დაეცა მეხი მასცაო,  
პალურის ცემით გავაგდე, ავად მივეპყარ მეცაო,  
და ვნანობ და რალას მიშველა, ნეტამცა ბევრი მეცაო.

217. კაცი რომ იმგვარს კაცს მორჩეს, ღმერთს მაღლი მისცეს დი-  
უნდა გაფთხილდეს მას უკან, მას ჰქონდეს ლვთისა რიდია, [დია,  
ავს გზაზე არ გაიაროს, მტრის გაღებული კიდია,  
და ნურავინ ენდობით, გახსოვდეს, ეშმაკი ფერად ბინდია!

218. ვნახეთ კელმწიფის სასახლე ცეცხლივით ენთების,  
მზის შუქზე ყვითლად ლაპლაპებს, ცეცხლივით შეეკეთების,  
უცებმა კაცმა შეხედოს, ზედ თვალი დაეფეთების,  
და თუ არ კეიისარს, სხვას ბატონს ისრე არ გაეკეთების.

219. ერთი უებრო სასახლე სტანბოლს დგას მაღლა მთაზედა,  
შიგა ზის დიდი კელმწიფე, დაბლა დამცექერის ზლვაზედა,  
სულ ოქროთ აშენებული, დიალ აშვენებს დარზედა,  
და ვის გაუწყრება, მაშინვე ააგებს მას ანძაზედა.

220. შიგნით რომ ნახო კედლები, არის ნაჭედი მურასა,  
ქვა იაგუნდის თლილისა, თავსა ოქროთა ხურავსა,  
ქვეშ აგურია ოქროსი, ფერადად მოყვითლულ არსა,  
და მალვენ, მე ვეჭობ<sup>9</sup>, კმარობენ ლვინით თასსა და სურასა.

221. გარ შემოზღვიდით ავლია ოქროთ დაწნული ფანჯარა,  
რომ ნახო, გაგიკვირდება, მას მონდომია გარჯა რა,  
არ იცის კაცმა, იმაზედ რამდონი დაიხარჯა რა,  
და კარგა გასინჯეთ, შეიტყეთ, მას ეყოლება რა ჯარა.

222. აუზი არის მურასა, შემკობილია ლალითა,  
ნაპირზე <sup>“</sup> შემოუვლია, უცხოდ ნაჭედი თვალითა,  
შიგ ამოსული ხე არის, იაგუნდისა სხალითა,  
და ფიქრი გაუშვით, თუ ვინმე ესე წაართვას ძალითა.

223. მას შიგა აქვს ზამთარ ზაფხულ შვენიერი ბალი, ბალჩა,  
ბულბული და სირინოზი გალობს, კმანი ალარ შერჩა,  
მას შეფრთინავს ყოველი სული, ჭრეტით თვალი ზედა დარჩა,  
და ამისთანა შემკობილი ამას გარდა არსად დარჩა!

224. არს გაუწყვეტლივ ყვავილი, ვარდი გაშლილი მუდამან,  
შიგ სხედს მრავალი ბულბული, მაშიგა დაიბუდა მან,  
ფერად-ფერადი ყვავილი სამოთხე გააცუდა მან,  
და უცილოდ ვანბობ არ ლირსა, თუ კაცმა ნახა ცუდამან.

225. ბერძნულის ენით ეტყვიან სახელად ბიზანტიასა,  
სულ შეიყაროს კმელეთი, იმას ვინ გაატიალსა,  
ის რომ ქრისტიანს ეჭიროს, ისი დღე ნეტარ არსა!  
და სურნელის სული გამოდის, კაცსა გააძლებს მშიარსა.

226. მრავალფერს სურნელს იკმევენ, შიოგა სწვეოდა ლაჯსაო,  
იმისი სული შორს მიღის, გეცემის ოთხს ალაჯსაო,  
ტყვივით და რკინით ნაშენი, არა ჰემარობენ გაჯსაო,  
და ურიგოთ კაცი თუ წადგა, ზურგში ჰკვრენ ბევრს ლაჯსაო.

227. გარ გალავანი ავლია, არსით აქუს გარდასავალი,  
გალავანს გარეთ ზღვა არის, თოფი აწყვია მრავალი,  
არ ეშინიან მტრისაგან, არა აქუს მისავალი,  
და იტყვიან ქუეყნებისასა აქუს სამის წლისა სავალი.

228. გალავანს შიგნით რომ ნახო, მთა არის ალვის ხისაო,  
მას ახლო-ახლო უყრია სვეტები სომახისაო,  
სახელი დიდი უბრუნავს ბაქის და ომახისაო,  
და ნურვინ იკადრებს, მტრისაგან კელი არ შეიხისაო.

229. ნუ დაიჩემებს მას კაცი, უფალმან ააშენაო,  
კელმწიფემ კოსტანტინემა სასახლე გააშენაო,  
გააწყო კედელ ყურენი, შეამკო, დააშვენაო,  
და ენა გაუხმა იმ კაცსა, თუ ვინცა ჰქალროს შენაო.
230. სასახლეს ბიზანტიაი და სტამბოლს ჰქვიან რომია,  
კაცი ვერ იტყვის ქებასა, ქალაქი არის რომაო,  
ენა შეაკმა იმ კაცსა, ვინცა სთქვას მისი რომაო,  
და შენთვის დაეგდევ, ტლაშაძევ, გეყოფა ცუდად შრომაო!
231. ნადირი არის მრავალი, უცხო და უცხო ფერია,  
მაშიგან მყოფი უცილოდ გაყმაწვილდების ბერია,  
არ დაიჯერებს ამასა, ვისაც რომ არ უმზერია,  
და მის საკადრისად ვერ ვაქე, ეს ჩემგან დაიჯერია.
232. მიბძანა კატალიკოზმა: „ვზივარ ერთს სასახლეშია,  
არ მამასვენა სოფელმა, გამსარჯვა ჩემსა დღეშია,  
უფთხილდებოდი ჩემს მტერსა, არ ჩაუარდე კელშია,  
და ბევრს უამებელს მამულსა გემოთ სჯობს ცვითოს ხეშია.
233. არას მაკლებენ, მაგრამე მე ჯდომაშ დამალონაო,  
იმ ჩემის ძმების ანბავი, ეგრეც რამ გამაგონაო,  
ამდენი ფიქრი ნაღველი, ცოტა რამ მამაფონაო,  
და სულთქმა ტირილი თვალთაგან, შემაშრო ცრემლო ფონაო.
234. მე ჩემის ჭკუით ჩავარდი უძირო ღრმასა მორევსა,  
ჩემიანთ მოშორებულსა, გულსა ლახვარი მორევსა,  
ის დღე დაივსო, რასაც დღეს მე ჩემს ძმას მამაშორესა,  
და ანბავიც აღარსად მესმის, გზასა გამავლეს შორესა.
235. მომაგონდეს თავი ჩემი, ოდეს ვიყავ გარიგებით,  
ვლხინობდი და ვიხარებდი, ძმები მყვანდა მე დიდებით,  
ლია იყო კარი ჩემი, არვინა ვყვი დარიდებით,  
და მამდის თევზი, ორაგული ჩემს სუფრაზედ არის დებით.

236. სტამბოლში ვზივარ ჩემთვსა, არავის აქუს ჩემთან სადაო,  
ებძანებინა ვეზირსა, ჯდომა მიგჭირდა მანდაო,  
სეირს წაბძანდი, თუ გინდა, ზღვის პირზედ არი სადაო,  
და მაგრამ ნაღველი ძმებისა აროდეს გამომქარდაო.

237. წამიძღვა ბაირახტარი, იქივ ჩავსხედით ნავშია,  
კარგა შევექეც იმ დღესა, ნავი ვაცურვეთ ზღვაშია,  
თამაშობს დიღროანი თევზი, დიალ მიამა თვალშია,  
და კელსა მიწყობენ, მაგრამე არ მოდის ჩემსა ჭკუაშია.

238. ვინცა ვინ არის ჩემი ყმა, ყველა ჩემთან არია,  
წავედით მოსვენებითა, კარგი გვიდგია ქარია,  
გრილად მივდივართ, არ ცხელა, არს მოწმენდილი დარია,  
და მე ვხედავ, ჩემთვის ამათგან კეთილი არსად არია.

239. ზღვასა გავედით, დაგვიხვდა სოფელი მომცრო კარგიო.  
სე ხილით გარიგებული, ავა აქუს დიალ მარგიო,  
ერთს კვირას იქ შევექეც, თანა მაქვს ცოტა ბარგიო,  
და მე ვეხვეწები უფალსა, ეგებ არ დავიკარგიო.

240, თევზს ვნადირობდი, ვლხინობდი, ყუელანი ლვინოს სმიდია,  
თევზი დიალ მრავალი, სტაქო სტრიდია მიდია,  
მეუბნებიან ყუელანი: შენ ისევ ქართლში მიდია,  
და მეც გულით მინდა, მაგრამე გულში მაქუს მტრისა რიდია.

241. წამიძღნენ მებალურები, ზღვაში ჩააგდეს ბადია,  
ყუელა იქ მოხვდა ლვთისაგან, რაც თევზი დანაბადია,  
ეს თავი ჩემი მტერებმა დაკარგა დანაბადია,  
და არ გიკვირს, ასე უბედო დედისგან დავიბადია!

242. ანანოზ აგავს პეტრესა, რომ ნაღირობდა თევზსაო,  
ბატონმა უთხრა, მაშინვე ბადე მარჯვენით ზღვესაო,  
მათ გამოსწივეს, ბადესა თევზი მრავალი ძესაო,  
და არ გიკვირს, ჩემა მტერებმა უბრალოდ გამაძესაო.

243. ცრუმან სოფელმან ჩემი დღე სიმწარით მანანა ვითა,  
კმელზე მატარა მრავალი, და ზზღვაში მანა ნავითა,  
ლხინის სანაცლოდ მან ჭირი აწვიმა მანანავითა,  
და ძილის მაგიერ ნალველი მე მითხრა, მანანა ვითა!

244. ვითარცა იქსენ იონა მუცლისა ვეშაპისაგან;  
აწ მიკსენ მეცა ცოდვილი, დაბმული მე მტერისაგან,  
ცრემლით გვედრივარ, უფალო, დამიკსენ წაწყმედისაგან,  
და შენ გამომიკსენ, უფალო, დაკარგულ მე ბედისაგან!

245. პეტრე უარყო, უფალო, და<sup>6</sup> მერმე შეინანაო,  
დაჯდა, იტირა, მწარედ და ცრემლით გაიბანაო,  
სამოთხის კარზედ დალგომა, კლიტე იშოვნა მანაო,  
და კაცი რომ საქმეს წააკიდენს, რაღას უშველის ნანაო.

246. გულის კმა ყავთ გონიერად, ეს სოფელი შეგრჩეს აროს,  
არს ნათელი თვალთა შენთა, მაგრამ ბნელი დაგეფაროს,  
წარიტაცოს მალ სიკუდილმა, რაგინდ ტახტზე დაემყაროს,  
და ფიცხლავ საფლავს ჩაგასვენონ, ზედან მიწა მოგეყაროს.

247. ვიხილე კაცი ოდესმე, მოსილი სტავრა ნახლითა,  
გამდიდრებული საქონლით, გარიგებული სახლითა,  
ეტყუოს სოფელს, მენახოს დანარცხებული და ახლითა,  
და უფალმან უწყის ყოველი, საქმე დამართებს ახითა.

248. რასა შფოთებთ, ჭი კაცნო, და მიმო ეკვეთებითა,  
ვერ დაიმკვიდრებთ სამოთხეს ცოდვის გარდამატებითა,  
სიკვდილს ვერსად ვერ წაუხვალთ, თავში სცემდე კეტებითა<sup>7</sup>,  
და კაცი პატივს ვერ დაიდებს იქით აქათ კეთებითა.

249. დაყუდენით უკუე, მმანო, დუმილით და დუმენითა,  
ნუ აწყინებთ ერთმანერთსა, ნურც საქმით, ნურცა ენითა,  
შეიტკბეთ თქუენ ერთმანერთი, ყუელამ კეთილი ქენითა,  
და თუ აღასრულებთ ამასა, სამოთხეს მიხვალთ რბენითა.

250. მოკუდებოდინ რა მთავარი და კელმწიფე დიდებული,  
მას საჭურჭლე ბევრი ჰქონდეს და სალარო მიდებული,  
მყის სიკვდილმა წარგიტაცოს, არა არს მისგან რიდებული,  
და აღარავის ეშინოდეს, რა თვალმან ქნას ბინდებული.

251. დავით დაწერა ფსალმუნში: „ყოველი კაცი ცრუ არსა“,  
არ გაუთავდეს სოფელი კაცსა ცრუ ფიცსა, მტყუარსა,  
დაკარგოს თავის დიდება, პოოს, ეძებდეს თუ არსა,  
და ბატონმა რა სამსახური ბძანოს, ვერ ვეტყვით უარსა \*).

252. შენ, ჩემო თავო, რა ჰქენი, სტამბოლოს წამოხველ რათაო,  
რატომ მოშორდი სამყოფსა, შვილთა ძმათა და დათაო,  
ბატონს შენს არა გიჭირს რა, კიდევ რამ დაჰყოფ ხანთაო,  
და ლმერთი გვიმადლის, თუ კაცი, რაზე დავიკოცთ თავთაო?!

253. მაშინვე უთხარ ჩემს ძმასა: „ასე მიგლოე ძმაოდა,  
მანდ ველარ მოველ ცოცხალი, შვილო, ვერ გნახე დაოდა,  
ბატონი შენი გულისთვის შენც დასთმე, ჩემო დაოდა,  
და ვაი თუ მოვკდე ცოდვილი, ლარიბი, უსაფლაოდა!

254. მოდით, ძმანო და მოყუასნო, იტირეთ ჩემი ბედია,  
ბევრი ვილაყპო, მეტყვიან, ეს კაცი ცრუ და ყბედია,  
რაც მოკდებოდა ჩემს თავსა, იქავ ვიცოდი მე დია,  
და ჩემიანთ გაყრის ნალვლითა ვიწვები, ვით აბედია.

255. რაზე დამკარგეთ, მცხეთელნო, რა მედვა თქვენი ბეგარა,  
რას პასუხს მამცემთ განკითხვას, რომ დავემარხო მე გარა,  
ყურს უკან მიზის სიკვდილი, დღეს მამკლავს ანუ ზეგარა,  
და არ მეკადრების ჩემგანა, თქუენგან საქნელი ეგ არა.

256. რამდენჯერ შევალ ბატონთან, იმედს დამიწყებს დებასა:  
„ნუ შესწუხდები ჩემთანა, რას აქნევ შინა გდებასა“,  
ან-კი სად ვლირს ვარ თავდაბლა იმისგან გულის დებასა,  
„და თუ რამ მეშველა, ელოდე შენ ჩემგან გამდიდრებასა“.

\* ) ეს ტაქი გამეორებაა მე-12 ტაქისა.

257. მე უთხარ: „ქართლში წავიდეთ, ნუ იქ საქმესა გმობილსა, თვალს ნუ დაზოგავ ქრთამითა, ნურც მარგალიტსა წყობილსა, კარგი არავის არ ახსოვს ამათსა აქ მონდობილსა, და კარგა გასინჯევ, შეიტყვე: ისევ ძმავე სჯობს ძმობილსა!

258. თქვენც კარგა იცით ამათი საქციელი და ზნენია, ვერა მოვაწონებთ ვერაფერს, აქ დავყოთ ჩვენი დღენია, ავათ გვართმევენ აქ დგომას კაცი ჭკვიანი, ბძენია, და არ შეგვიძლია აქ დგომა, რაც რომ გინდოდეს ქენია!“

259. ცუდი ყოფილა სოფლის ლხინი, თამაში, შვებანი, არ ვარგა ბევრი სიხარბე და საქონლისა დებანი, ბატონის სამსახური სჯობს, ცუდია შინა გდებანი, და კარგია სიღარიბის კარს ბატონის შემორებანი.

260. სოფელს სჭირს, კაცსა მიინდობს და მიენდობის ისიცა, ქვეყანას მოაროინებს, ჩარხი უტყუებს ისიცა, მისსა მინდოსა ლახვარი არ ასცილდება ისიცა, და მოჰკლავს, ძირს გააროინებს, აგერ ქვე გდია ისიცა.

261. რად არ გემდურვი, სოფელო, გამკადე აწ ვის სამარე, ჩემიანთ სულ მამაშორე, დამავლე აწ ვის სამარე, მე ჩემი დამაგდებინე, ქვეყანას აწ ვისსა მარე, და ამაებს არ დამაჯერე, მამკალ და აწ ვისსამარე?!

262. ვაი, სოფელო, ვის მივენდო, გავკდე შენსა ამარესა? მე ვიახელ ბატონებსა, სულ ქვეყანა დამარესა, თუ წამყვანი კაცი ვნახე, მალ დავაგდებ ამ არესა, და საღაური საღა ვკუდები, საღ მითხრიან სამარესა?

263. ეს მარტო ჩემს თავს არ არის, გადაკედია სხვასაცა, წალმა ჩარხისა ბრუნება გამრუდებია სხვასაცა, ჩვენ გაგვისტუმრე, გვიმტერე, სოფელო, ახლა სხვას აცა! და არავინ უნდა მოგენდოს, აგრე სხვას უხმ სხვასაცა.

264. რა საქმე მოვა კაცზედა, ვერავინ დააბრუნებსა,  
მას თან აჰყვების ეშმაკი, მალე მალ მას აცთუნებსა,  
ტირილით ცრემლით განქარდეს, ისიც თუ ღმერთსა უნებსა,  
და ღვარძლსა აღმოფხრის უფალი და იფქლსა აღაფუნეფსა.

265. მიბძანა: „ნუ შესწუხდები, ჩავარდი გულის კმასაო,  
ბატონს რომ გასჭირებია, უმსახურია ყმასაო,  
არ იცა, ერთგულის ყმისა, შვილსაცა სჯობს და ძმასაო,  
და როსაც ბატონი გაკეთდეს, მრავალ მისცეს მასაო“.

266. მე მოვახსენე ბატონსა: „ეს სიტყვა კარგა იცოდე,  
ამდენის კაცის დაკარგვა შეიბრალე და იცოდე,  
ბევრს გავძლებ კიდევ, მე შენი ქართლისკენ წასლვა ვიცოდე,  
და მწამს შენთან ავზაქსავით მე მარჯნივ ჯვარსა ვიცოდე.

267. მე კიდე გკადრებ სიტყვასა, თუ მამისვენებ კარგია<sup>58</sup>,  
რადგან<sup>59</sup> ქართლიდამ წამოხველ და თავი დაიკარგია,  
ამდენს ეცადე ღვთის მაცა, აგრეც ქართლს რამე არგია,  
და ავღვეთ, წავიდეთ ქართლშია, წავიღოთ ჩვენი ბარგია.

268. სოფელი არის ჭრელი და ერწამ გადაიქცევა,  
დილას ოქროა სტუმარი, სალამოს ვერცხლად იქცევა,  
ყველანი ზედ მიღვებიან, რახან ხე გადაიქცევა,  
და ჩვენ სტამბოლს ვყრივართ, ქართლშია ჩვენი სახლები იქცევა“,

269. მიბძანა: „შენ-კი არ იცი, მე რომ მჭირს რაცა ჭირია,  
საითაც წავალ, მეშინის, საქმე მაქუს გასაჭირია,  
კეთილი არსაით მიჩანს, ვტირ და ცრემლი მდის კშირია,  
და თუ არ წავალ, შენ-კი გაგზავნი, ნუგეშინის, ნულარ სტირია“.

270. აღმერთმა მაშოროს ბატონი, რომე აწ სხვასა ვიახლო,  
ამდენი თრევა მეყოფა, დავბერდი, როგორ ვიახლო?  
დავაგდე ჩემი ქუეყანა, მოვშორდი, როგორ ვიახლო,  
და რას ვაქნევ იმ სიცოცხლესა, რომე ჩემდღეში ვიახლო.

271. ფათერაკს ბევრჯერ მორჩების, თუ კაცი ღმერთსა ესავსა,  
არ იცით რა დაემართა იაკობს, ძმასა ესავსა,  
შენი მტერები ქართლშია ნიადაგ ჩხუბსა სთესავსა,  
და დიდსა კელმწიფეს ახლიხარ, არასა გყადრებს ეს ავსა.

272. ისაკ აკურთხა იაკობ, არ მოიცადა ესავი,  
თქვენც კარგათ იცით, ქართლშია ბევრი გყავს ჩხუბის მთესავი,  
იმათ სხვა დასვან ბატონი, ვეჭობ<sup>9</sup>, ჩვენთვს არს ეს ავი,  
და შენ დაგცინოდენ და სწავლა, იმან განფინოს მზესავი.

273. რატომ არ გეთაკილება<sup>10</sup>, თქუენ ხართ კელმწიფის შვილია,  
სხვა ვინმე დაჯდეს შენს ტახტზე, კაცი უგბილო, ლბილია,  
გაქუს მოთაკილე გუნება, აღარ მოგივა ძილია,  
და ადამც განვარდა, რომ ჭამა მან სასიკვდილე ხილია.

274. უთქუამს რუსთველსა: „დიალ მძულს შიში, კრძალვა და რიდო-  
მძულს გაუწყვეტლად კუშტობა, სულგძელობა და დიდობა, [ბა“,  
თუ გინდა შენი ქუეყანა, ჩვენკე ქენ მონაზიდობა,  
და თუ არ, შენ შენდა, ჩვენ ჩვენდა, დიალ სჯობს კიდის კიდობა.

275. ბძანა: „ქართლში<sup>11</sup> მყავს მტერები, გამოვეცალე მათაო,  
გადამეკიდა ქუეყანა, მე შემაძულეს ძმათაო,  
კეთილი არავინ მიყო, მარმე მაწამეს ყმათაო, [ქნათაო].  
და რატომ ვქნა მტერს კელში მიმცეთ, თქვენ-კი რაც გინდა

276. მე მოვახსენე: „კელმწიფემ აღარ გვაჭამოს პურია,  
ულუფა ამოგვიკუეთონ, აღარ მოგვიგდონ ყურია,  
მაშინ ჩვენ რა ვქნათ? საბრალოთ მტერმა იძიოს შურია,  
და სანამ ეს დაგვემართოს, ვითხოოთ ჩვენ დასტურია.

277. ჩემგან რა მოგეხსენება, თქუენ ხართ ჭკუისა მპოველი,  
ერთს სიტყვას გყადრებ, ბატონო, ნუ მიწყენ, ამას მოველი,  
რატომ არ იცით, უთქვენოდ გაოკრდა სვეტი ცხოველი,  
და რაც ჰქონდა ოქრო და ვეცხლი, შენ დაუხარჯე ყოველი.

278. სამცხეთო სულ დაიკარგა, მათ გაადინეს მტვერია,  
სოფლებიც დიუყიდია, მათ წიგნი მოუწერია,  
აქ ზიხარ არასა ნაღლობ და შენთვის არაფერია,  
და აშოროს ლმერმა, ახლა შენ აღარსითა გყავს მტერია“.

279. მიბძანა თქუენც კარგა იცით, მე რომ ცეცხლი მდებია,  
განა არ ვიცი, საბრალო შეწუხდენ ჩემი ყმებია,  
მაგრამ მე რა ვქნა მარტომა, იქ აღარ მყავს ძმებია,  
და აგერ ლვთით მოვლენ ისინიც, წავალ მეც ვიახლებია“.

280. „სწორეთ ბძანებთ მაგასა, კარგა იმართლეთ თავია,  
შენმა ყმამ რა ქნას საბრალომ, საქმე სჭირს იმათ ავია,  
ამდენის აქა ყოფნითა მოსთხარე გაათავია<sup>62</sup>,  
და სანამ პეტრე მიესწრებოდა, პავლეს გააძრეს ტყავია.

281. ბევრი მინახავს ბატონი ყმისათვს თავ დადებული,  
კიდევ მომედარა ყმისაგან ბატონი გარდაგდებული,  
ერთგულს კაცს ერთი ესე სჭირს, არის ტლეთ შემოდებული,  
და კიდევ ორგული აკეთოს, ერთგული ვარ გაგდებული.

282. ზოგს ბატონს ესე სჭირს, არ ახსოვს ნამსახურია,  
რაგინდ რომ ბევრი მსახუროს, მან მას არ უგდოს ყურია,  
როსტა გაკეთდეს, გადიდეს, აღარ აჭამოს პურია,  
და თუ არ წამოხვალ, აქ იყავ, ჩვენ მოგვეც აწ დასტურია“.

283. ველაპარაკე, ვაწყინე და თავი შევაზარეო,  
გულ ამოკნესით იჩივლა, სიტყუები მითხრა მწარეო:  
„აწ-კი დამეხსენ მაგ სიტყვას, ან გამეცალე გარეო,  
და შენ რა გჯის<sup>63</sup> ჩემი ყმისათვს? შენ შენს თავს მოუარეო<sup>64</sup>“.

284. კიდევ გკადრებ სიტყვასა, სულაც გამაგდო მე გარა:  
„რასაცა ბძანებ სიტყვასა, თქუენგან სათქმელი ეგ არა,  
ბძანებთ ჩემი ძმა მოვაო დღეს არის, ანუ ზეგარა.  
და წახვალ, თუ დაიგვიანებ, მას ეწყინება შენგან რა?

285. მასცა ღმთით უნდა, რომ თქვენა კარგი რამ დაგემართოსა,  
დიღის კელმწიფის კარზედა შენ საქმე წარგემართოსა,  
ღმერთსა გახვეწებს ყოველთვის, მრუდი გზა გაგემართოსა,  
და როდესაც გნახოს მშვიდობით, ლხინი ლხინზედა წართოსა.

286. ღმერთმან ქნას, ოდეს გიხილნე თქვენ ძმანი ერთად მხდო-  
ლაპარაკობდეთ ტკბილათა, მე თავსა ვიყო მდგომარე, [მარე,  
გარჯა არ გამცდებოდეს, გული არ ჰქონდეს მწყრომარე,  
და როდისლა ვნახავ ამასა მე, ცუდის გზის მშრომარე?“

287. რატომ მოშორდი, ტლაშაძევ, შენს მწყალობელს ბატონსა,  
მანიც ვერ მოვრჩი დაკარგვას, შენ წაგიყვანეს სტამბოლსა,  
იმათის მოშორვებითა, მითამ რა მოგემატოსა?  
და რათა მსახურებ ამ გვარ კაცს, უშვილოსა და მარტოსა?!

288. წაველ, მივმართე რუსეთსა, თავი არავინ მანება,  
მოვშორდი მწყალობელს ბატონს, რალას მიშველის ნანება.  
სრულად დაგვლეს ქვეყანა, სიგძე ჰქონდა, თუ განება,  
და მანიც დაგკარგეს უბრალოდ: იყო ლვთისაგან ბძანება.

289. არცარა გემო იმას აქვს, ვინც ქართლში სახლში<sup>65</sup> ზისაო,  
რალაც ლონე, ისევე გავლა სჯობს შორის გზისაო,  
უცხოსა ნახავს მრავალსა, თვალითა მას უმზირსაო, [საო.  
და რეგვენს კაცსა სჭირს, კივს წყალში ბანობს და ნაპირს თრთი-

290. შეველ ბატონს შევჩივლე: „აგებ წავიდეთ ქართლშია,  
არამც შევძულდეთ ვეზირსა, ცემა დაგვიწყონ თავშია,  
ულუფა ამოგვიკუეთონ, ვეჩლიტებოდეთ თვალშია,  
და იმავ ქალამანს დავჯერდეთ, რათ გვინდა მათი მაშია?“

291. კიდევ გაფიცებ მამასა, სულსა წმინდასა და ძესა,  
უშველე რამე ქართველთა, იმათი ცოდვა გაძესა,  
მოსაკმარებლად წამოხველ, განაკი გამოგაძრესა?  
და ამდენს ხანს შენ იქ რათ ზიხარ, სტამბოლში შენი რა ძესა?“

292. „მიყურებთ, ვზივარ სახლშია, არა მაქუს ლხინი შვებანი,  
არ იცით ჩემი ნალველი და ჩემის თავის ვებანი,  
მეც გულით მინდა ქართლისა მოვლა, შვება და რგებანი,  
და თქუენცა შეიტყობთ, თუ რა ვქნა, მელირსოს მე აშვებანი.

293. დიდი კელმწიფე ბძანდება, უნდა მიუგდოთ ყურია,  
მანამ მოვიცდი, მანამდი მიბოძოს მე დასტურია,  
როგორ იკადრებს ამასა, ჩვენ არ გვაჭამოს პურია,  
და მერმე მივმართავ ჩემს ძმასა, იმათი ნახვა მსურია.

294. განა არ ვიცი, ქართველნი ჩვენგან შველასა ელია,  
მათ ფაშა უზის ეშმაკი, კაცი ჭკვიანი ქუელია,  
ყუელას ატყუებს, რასა შურს, იმათვს ენა სველია,  
და მანამ იქა ზის, არ მივალ: არს ჩვენი მტერი ძველია“.

295. „ნუ გეწყინების, ბატონო, სიტყვა რომ გყადროს მთე-  
მანამ არ მოვა შენი ძმა, არ წახვალ იმათ ელია, [ლია,  
ამდენის ხვეწნით მუდარით მე გული გადამელია,  
და მე ვხედავ ჩემის ჭკუითა, ქართლზე აიღე კელია!

296. მეც ვეხვეწები უფალსა, ნეტავინ ბაქარ მამგვარა,  
გულის ლხინი და გონება ყუელა ერთ-პირად წამგვარა,  
მას უკან ჩემსავით კაცი ვინ დაკარგულა იმგვარა,  
და შენ შენს თავს მაინც უშველე და ჩვენი ნულარ გავა რა<sup>66</sup>.

297. შენი ძმა რუსეთს წავიდა, რათ მიხვიდოდი ლორესა,  
თუ ქართლში ველარსად დადეგ<sup>67</sup>, აოკრდა, გაასწორესა,  
რატომ არ გაჰყევ შენს ძმასა, რას დახვალ გზასა შორესა?  
და ყუელაყა თქუენი ბრალია, თუ მათქმევინებ სწორესა! \*

298. „ბატონმა ყმა გააკეთოს და კელი დააფაროსა,  
არა მსახუროს იმასა, ძილი არ გაიმწაროსა,  
ყმას სამსახური უბძანოს, იმან ის დაიზაროსა,  
და ამგვარი კაცი ბატონმა რის პირით შეიწყნაროსა?

299. ყმამ რომ მსახუროს ბატონსა, ნუ დასდებს საყუედურსაცა,  
შერისხულს ბატონს ერიდოს, მოათმენინოს ყურსაცა,  
ყუელა კეთილად შერაცხოს, ვერა შოობდეს პურსაცა,  
და მსახუროს სახიერს ბატონს, ეგრეთვე უსახურსაცა.

300. დიალ მძულს კაცი გულ-დიდი, სიტყვა პტყელი და ყბედია,  
ძნელს ფათერაქსა გაებას, თქვას, ჩემი წერა ბედია,  
გამოერკვიო ჭკუითა, ძნელს საქმეს თუ გაბედია,  
და უთქუამთ: „ჭკუა სჯობს, რეგვენო, ესე მე მითქვამს კულადია“.

301. სტამბოლს ზის კათალიკოზი, არს პატივითა დიდითა,  
გვერდსა ვახლავართ ყუელანი, შიშით, კრძალვით და რიდითა,  
გარე გუარტყია შავი ზღვა, თეთრი ზღვა კიდის კიდითა,  
და უნაოი ვერსაით წავალთ, ზედა ვერ გავვლით<sup>67</sup> კიდითა.

302. მოჰყვა და წვრილად გვიბძანა თავისი გადასავალი:  
„ქვეყანა სულ დამივლია, მრავლის დღის სავალი“,  
ბძანა, თუ ბევრი მინახავს მე სანახავი მრავალი,  
და ვისზედაც ამაგი ექმნა, ყმაზედა ედვა რა ვალი.

303. „მოდით და ყური მომიგდეთ, ისმინეთ ჩემი თხრობილი,  
გიამბო ჩემი ამბავი, ვით მარგალიტი წყობილი,  
მე არ ვიკადრებ ტყუილსა, მძულს ლაპარაკი გმობილი,  
და ვის გადაკლია ჩემს მეტსა ჩემებრივ ჭირი თმობილი?

304. ყმაწვილობასვე მინდოდა სულა ქვეყნისა დავლაო,  
ქართლში დამედვა სჯულისა წესი, რიგი და სწავლაო,  
მესწავლებინა ყველასთვინ შიში ღვთისა და კრძალვაო,  
და ქვეყნის მოსლვისათვინ არა მზარს შორის გზისა წავლაო.

305. სულ მოვიარე ქვეყანა, რუსი, ოსმალი, ერანი,  
ვლახი, ბულგანი, აბაში, ნაშენი, არა არს ვერანი,  
იელუსალიმს ვილოცე, ცრემლი დავთხივე ბევრანი,  
და მაგრამ მცხეთელებს სიკეთე ვერ მოვაწონე ვერანი.

306. ყევნთან წაველ, ებოძა რაყამი და ყული კარგი,  
შევეხვეწე ჩემს ქრისტესა, ვთქვი, ეგებ არ დავიკარგი,  
ავდეგ, წაველ მხიარულად, არ წავიღე მძიმე ბარგი,  
და მე გუგუნა თან მიახლა, ჭკვიანი და კაცი ვარგი.

307. მამა ბიძანი იქ დამხვდენ, ყევნის კარზე მდგომარე,  
კელმწიფის წინა მიმიძღვნენ, გული არ ჰქონდა მწყრომარე,  
ტკბილად მიბძანა: „და მობძანდი“, ზე წამომიღვა მჯდომარე,  
და ჭკუის მძებნელი კელმწიფე არ იყო მიუმხდომარე.

308. გვერდსა დამისვა, ანბავი მე მკითხა ქართველებისა,  
„დიალ მიამა ჩამოსლვა მე შენი აქა ხლებისა,  
თამამად ველაპარაკე, სიტყვა არ შემეშლებისა,  
და რაც სანახავი მე ვნახე, ენით არ დაითვლებისა!

309. მამული სრულად მიბოძა, რაყამი მომცა ფიცისა,  
მაშინვე დააწერინა, დაბეჭდა, დაამტკიცისა,  
თავდაბალია მოწყალე, ტყუილი მან არ იცისა,  
და მან დაუმკვიდრის ბოლომდი, ვისაც მამული მისცისა.

310. ცოტას ხანს იქა ვიახელ, მე ვიყავ ჩემსა ნებასა,  
კარგა მართმევდენ ყველანი, მე შემასხემდენ ქებასა,  
ულუფას უხვად მაძლევდენ, ვინ მოშლის მის ბძანებასა!  
და გავამტყუნებდი უცილოდ, ჩემთვის თუ სჯულზედ ებასა.

311. დასტური ვთხოვე, მიბოძა რაყამი, მემანდარია,  
ღმერთს შევეხვეწე, წამოველ, გზა მომცა კარგი დარია,  
ისპანისა სიკეთე სამოთხეს შეუდარია,  
და მამა ბიძათა მოვშორდი, გული ლახვარმა დარია.

312. მშვიდობით მოველ, დამიხუდა სამცხეთო გარიგებული,  
სამირონეა მურასა, ოქროსა კარი შებმული,  
სვეტია კარგათ შემკული, გარ შემოფარდებული,  
და ჩემს ძმას ვახტანგსა შეემკო, ღმერთმან ადიდოს ქებული.

313. მე მოველ ჩემსა საყდარში, იმათ იამათ კარგათო,  
მაშინვე მოვატანინე, რაც რამე დაეკარგათო,  
თავთავიანთი საკელო დაეწვათ, დაედაგათო  
და მე უთხარ: „ოქვენ ულმერთონო, რას ეჩართლებით მაგათო?

314. საყდრის<sup>68</sup> ყმამ რა ქნას საბრალომ, მაღლ გამოიკლის ბატონ  
როგორ მსახუროს გულითა, უშვილოს, უძმოს, მარტოსა, [სა,  
იგი წავა და სხვა მოვა, ამით რა შეიმატოსა,  
და შოვნას დაესხნას, რაც აქუს, ისიც არ დაეპანტოსა.

315. ცოტას ხან ვიყავ ბატონად, მაგრამ მაწამე ყმათაო,  
საყდრის ყმა არას აამებს, რიგი აქვს მათ მამათაო,  
იბრიყვებენ და წაართმენ ქურივთა, ობოლთა, ბრმათაო,  
და გარდაჲკიდებენ ერთმანერთს ტკბილსა საყვარელს ძმათაო.

316. მე მამიგონეს ტყუილი, კაცის ყურს სმოდეს აროდეს,  
აწ ჩემნი ყმანი შეითქვნეს, ჩემს დაჭერასა ჩქაროდეს,  
ვიზედაც კარგი რამ მექნა<sup>69</sup>, ჩემს წაკდენასა ხაროდეს,  
და ღვთის მეტი მშველი არა მყავს, ან და მიშველის ძმა როდეს.

317. აწ ამაზედა გამოკდა შუაზე ცოტა ხანია,  
კისერი მოსტყდა კახ ბატონს, იყო ერევნის ხანია,  
რა გავამტყუნე, მტერზედა მტერს გული მოუფხანია,  
და ქართლი ეშოვნა, მოვიდა, თან მოჰყვა დაუთხანია.

318. მოვიდა ავლაბარშია, ახლავს თუში და კახია,  
ბძანა, თუ თბილის ქალაქი დიდება ღვთისა ვნახია,  
ყეენმა მიყო წყალობა, ქართლი გარ შემამახვია,  
და ვეცდები ამას იქითა, ჩემს მტერს მოუდვა მახია,

• .



## შეციუვნები ტექსტის ზესახებ.

იმ სიტყვების მაგიერ რომელთაც ციფრები უზის დედანში სწერია:

- |                                |  |
|--------------------------------|--|
| 1. წაკლენს                     | 36. არსაღარია                              |
| 2. ალაყბობს                    | 37. საკაცოდ                                |
| 3. პურ-მალი                    | 38. გყველაი                                |
| 4. პმაროდეს                    | 39. შალე                                   |
| 5. გფილსა                      | 40. შევებად                                |
| 6. ჩვენზედა                    | 41. მისასსა                                |
| 7. არისა                       | 42. მისთან                                 |
| 8. ქარისა                      | 43. ამოგუწყუეთს                            |
| 9. ვეჭოვ                       | 44. ლთისმაცა                               |
| 10. ავაოქრებ                   | 45. მოხქონდათ                              |
| 11. გაწყვითა                   | 46. და: გყარეს                             |
| 12. გაწყვითეს                  | 47. შაშას.                                 |
| 13. დრობებში                   | 48. ვიწყები                                |
| 14. და კაზთა                   | 49. ეს სიტყვა განმეორებულია დე-<br>დან'ში. |
| 15. კახ                        | 50. ტურმე                                  |
| 17. ეს სიტყვა დედანში არ არის. | 51. და ჰპატიუებდე                          |
| 18. ჰკონდა                     | 52. სტამბოლს                               |
| 19. ვეჭოვ                      | 53. ერ                                     |
| 20. შეიპტრეს                   | 54. დავსვაოთ                               |
| 21. გვერთსა                    | 55. ნაფირზე                                |
| 22. წმილათ                     | 56. დე                                     |
| 23. გამათავებელი               | 57. კეთებითა                               |
| 24. გვერთს                     | 58. გკარგია                                |
| 25. კაია                       | 60. გეტაკილება                             |
| 26. გქონდა                     | 61. ქართში                                 |
| 27. გეღგა                      | 62. გათავია                                |
| 28. მოგყლავ                    | 63. გჯირს.                                 |
| 29. ზენზედა                    | 64. მოარეო.                                |
| 30. ეს სიტყვა არ არის დედანში. | 65. ქართლი საშლში                          |
| 31. თათრებსაო                  | 66. ნულარა გაგვარა                         |
| 32. გაუწყვეთია.                | 67. დავდეგ                                 |
| 33. ააფრინა.                   | 68. სადრის                                 |
| 34. ახსენებ                    | 69. შექნა                                  |
| 35. ქუან                       |  |

## ბოლოსიტურაბობა.

შენიშვნები ხელნაწერის შესახებ.

წიგნი „კათალიკოზ-ბაქარიანი“ დაისტამბა ერთ დედნის მიხედვით, რომელიც წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს ეკუთვნის (№ 953). ხელნაწერი, 15×20 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ლამაზი მგვალი მხედრულის ხელით, სათაური პირველი გვერდისა დაწერილია წითელის მელნით, ქორონიკონის რიცხვის გარდა; წითელის მელნით არის აგრეთვე ნაწერი პირველი სიტყვა თითოეულის ტაქტისა, დანარჩენი ტექსტი ნაწერია შავის მელნით. ნიშნებათ იხმარება გარდა ზოგიერთ შემთხვევისა, ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. ხელნაწერს ქალალდის ყდა აქვს. სათვალავი ფურცლებისა ტექსტის ხელით ნაწერი არ მოიპოვება, არ არის აგრეთვე ნაჩვენები თითოეულის გვერდის ბოლოს სიტყვა, რომლითაც იწყება მეორე გვერდი, რაც ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს კარგის ხელნაწერისა. ამის გამო არ ვიცით რიგი ფურცლებისა, ხოლო შინაარსის მიხედვით სჩანს, რომ ფურცლები არეულია. ზოგიერთი ფურცელი წინასიტყვაობისა ბოლოშია მოქცეული. არეული უნდა იყოს აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ფურცლებიც. ჩვენ აზრის მიხედვით დავაწყვეტ ზოგიერთი ტაქტი და დაუსვით მათ სათვალავი არაბულის ციფრებით, რაც ნამდვილში არ არის. ნამდვილში რიგი ტაქტებისა ასეთია: 1—3, 22—288, 301—306, 289—300, 313—318, 307—312, 4—21. ზოგჯერ ერთ და იმავე ფურცელზე ნაწერი ლექსები აზრით ერთიერთმანეთის მიმდევარნი არ არიან, ჩვენ ამგვარი ლექსების დაწყობა არ გვიყისჩია, მაგრამ გვგონია, რომ დედანი, რომლიდგანაც ჩვენი ხელნაწერია გადმოღებული, ფურცლებ არეული ყოფილა და გადამწერს არ უზრუნვია მათი თავის ადგილას დალაგებისათვის. საზოგადოთ გადამწერი ვერ ყოფილა მცირნე ქართულის ენისა; ხშირათ მართლ-წერა სიტყვებისა და მათი ფორმები გარყვნილია. საჭიროთ დავინახეთ ზოგიერთი ამ გვარ სიტყვების და ფორმების შესწორება, მაგრამ ამასთანავე უმეტეს შემთხვევაში, და არა ყოველთვის, უჩვენეთ ტექსტის შენიშვნებში, თუ რა ფორმით სწერიან ისინი დედანში. ხელნაწერი სამწუხაროდ ჩვენდა სრული არ არის, შეიცავს მხოლოთ 108 გვერდს, ანუ 318 ტაქტს. ამათში ერთი ტაქტი ორჯერ არის გამეორებული სხვა და სხვა ადგილს (იხ-ლე მე 12 და მე 251 ტაქტი). რამდენი ფურცელი, ან ტაქტი აკლია დედანს, არ ვიცით. არ ვიცით აგრეთვე, ვინ არის გადამწერი ჩვენი წიგნისა, ანუ როდის არის ის გადაწერილი, ხო-

ლო წერის ზასიათის მიხედვით და აგრეთვე ქაღალდისა და მელნისა შეგ. გიძლია ვსთქვათ, რომ ხელნაწერი ყოველ შემთხვევაში მე XVIII საუ. კუნეს ეკუთვნის. ობზულება დაწერლია, როგორც სათაურიდებან სჩანს, კონსტანტინეპოლიში, მაგრამ ჩვენი ხელნაწერი ავტოგრაფი კი არ არის, რაც მტკიცდება იმგვარი შეცდომებით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. არა გვგონია, რომ თვით ავტორს ეკუთვნოდეს ასეთი შეცომები. ამას გარდა ჩვენ უფრო უტყუარი საბუთი გვაქვს ხელში იმისა, რომ ჩვენი დედანი ავტოგრაფი არ არის. ეს საბუთი გახლავთ რამოდენიმე სიგველი დაწერილი იესე ტლაშაძის მიერ. ხელი ამ სიგველისა და ჩვენის დედნისა სულ სხვა და სხვა არის. ხელნაწერის შესახებ ბაასის დასამთავრებლად უნდა მოვიხსენიოთ, რომ ის ნაპოვნია დაღესტანში განსვენებულის ა. როინაშვილის მიერ და შემოწირული წერაკითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავისათვის.

## II. ავტორი კათალიკოზ-ბაქარიანისა.

ავტორი „კათალიკოზ-ბაქარიანისა“ არის მღვდელი იესე ტლაშაძე, რომელიც ხლებია კათალიკოს დომენტის სტამბილში და, როგორც ეტყობა, ძრიელ დაახლოებული ყოფილა კათალიკოზთან. მისი გაბედული ბაასი და თავამი რჩევანი დომენტისადმი, რომელიც გამოხატული არიან 256—300 ტაეპებში ჩენი წიგნისა, საკმაო საბუთს გვაძლევენ ამგვარი დასკვნისათვის. ეტყობა, ტლაშაძეს წინეთ უმსახურია გახტანგ მეფისათვის და რუსეთშიაც ყოფილა, მაგრამ მერმე თავის ნებით მოშორებია და დომენტის გაყოლია სტამბოლში. ტლაშაძე თვითონ ამბობს თავის თავზე:

წაველ, მივმართე რუსეთსა, თავი არავინ მანება,

მოვშორდი მწყალობელს ბატონს, რაღას მიშველის ნანება.“

სტამბოლში ყოფნას ტლაშაძე ძრიელ სწერს, ურჩევს დომენტის საქართველოში დაბრუნდეს მალე. ტლაშაძე თითქო გრძნობს, რომ კარგი არაფერი მოელის მათ სათათრეთში, თუმცა „კათალიკოზ-ბაქარიანიდებან“ ჯერ კიდევ არა სჩანს, რომ კათალიკოზ ცუდათ ეპყრობოდენ და ან მისი ექსორიად გაგზავნა სურდეთ. არ ვიცით, გაჰყევა თუ არა ტლაშაძე ტენედოს კუნძულზე დომენტის, მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ 1727 წელს, ეს იგი იმ წელს, როდესაც „კათალიკოზ-ბაქარიანია“ დაწერილი, დომენტი სტამბოლში დაწერილი სიგლით უბოძა იესე ტლაშაძეს და მის შვილებს ათენში ოცდა სამი კომლი კაცი სახუცოდ. არ ვიცით აგრეთვე, დაუწერია სხვა რამე იესე ტლაშაძეს, თუ არა, მხოლოდ ჩვენი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი თავის ქრონილოგიური ცნობების ერთ წყაროთ იხსენიებს ტლაშაძის მიერ აღმოწერილს ქორონიკონებს, მაგრამ სამწუხა-

როდ არ უჩვენებს, რომელ ოლაშაძეს ეკუთვნის ეს ქორონიკონები. რაკი მწიგნობარი ოლაშაძე სხვა არავინ ვიცით, ჩვენის მოსაზრებით, ქორონიკონების აღმომწერათაც უნდა ვიგულისხმოთ ავტორი კათალიკონ-ბაქარიანისა მღვდელი იესე ტლაშაძე.

### III. რამოდენიმ სიტყვა „კათალიკოზ-ბარარიანის შესახებ“.

თხზულება „კათალიკოზ-ბაქარიანი“ დაწერილია ლექსად. ავტორი ეკუთვნის რუსთაველის სკოლას, როგორც თითქმის ყველა მელექსენი მისი დროისა. ოლაშაძე ბაძავს რუსთველს ლექსის წყობაში, ფორმაში და ზეგჯერ სიტყვა-სიტყვით იმეორებს რუსთველის სიტყვებს და ლექსებს. ეტყობა, ოლაშაძეს ვეფხვის ტყაოსანი ზედ მიწევნით ჰქონია შესწავლული და ამ შემთხვევაში ის არა გავს თანამედროვე სამღვდელო პირებს, რომელნიც რუსთველს მანდა მაინც არ სწყალობდენ, რადგან ვეფხის ტყაოსანი სასულიერო შინაარსის თხზულება არ იყო. თავის შრომას ოლაშაძე რუსთველის ხსენებით იწყებს და არა სცდება, როდესაც ამბობს:

„რიტორ რუსთველო, კარგ გამომოქმედო, ენა ტკბილო და შაქარიანო, ავმა მთქმელმა, ქურდმა-მელებმა ლექსი მრავალი მოგპარიანო.“

კათალიკოზ-ბაქანიანი თუმცა ლექსათ არის დაწერილი, მაგრამ ხელოვნურ პოეზიის ნაწარმოებს არ წარმოგვიღების. პოეზიის ნიშან-წყალი ძრიელ ნაკლებათ ეტყობა ოლაშაძის თხზულებას. მართალია, აქა იქ შეგხვდებათ ადგილები, რომლებზედაც ითქმის „არა უშავს რაო“, მაგრამ ეგ საკმაო არ არის. „კათალიკოზ-ბაქარიანი“ საყურადღებოა არა პოეზიის მხრით, არამედ საისტორიო მნიშვნელობის მხრით. ეს თხუზლება გალექსილი მატიანე ტლაშაძის დროის ქართლ-კახეთის ისტორიისა, ნამდვილი მოთხრობაა თანამედროვე პირისა, საქართველოს პილიტიკური მდგომარეობის სურათია მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედისა. ამ მხრით ტლაშაძის თხუზულება ძლიერ წააგავს გურამიშვილის „დავითიანს“, თუმცა მნიშვნელობა დავითიანისა ისე გაცილებით დიდია ოლაშაძის კათალიკოზ-ბაქარიანზე, რომ შედარებაც არ შეიძლება. გურამიშვილის შრომას უფრო საზოგადო მნიშვნელობა აქვს, ოლაშაძისას უფრო კერძო. ოლაშაძის თხუზულება მოთხრობაა კათალიკოზის დომენტი მესამის და მეფის ბაქარის შესახებ, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ მოთხრობისა რასაკვირველია დომენტი მესამეს შეეხება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მის ბიოგრაფიას.

აქ ისეთი ცნობებია დომენტის შესახებ, რომელიც სრულიად არ მოიპოვებიან სხვა წყაროებში. ბევრ ახალ ცნობებს იძლევა „კათოლიკოზ-ბაქარიანი“ აგრეთვე შესახებ ვახტანგ მეექვსესა, ქსნის და არაგვის ერის-თავებისა, კახთ მეფის მახმად-ყული-ხანისა და მის ბრძოლისა ვახტანგ-თან, ბაქართან და ოსმალებთან, აგრეთვე შესახებ ოსმალოს ფაშებისა ტფილისში და იათ შეირ ქართლის აოხრებისა. ერთი სიტყვით „კათო-ლიკოზ-ბაქარიანს“ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის და ამიტომ საჭიროა მოინახოს სრული ხელნაწერი. ჩვენ იმედი გვქონდა სრულის ხელნაწერის პოვნისა და ამიტომ დადი ხნიდან დასტამბული ტექსტის გამოცემა შევაჩერეთ, მაგრამ რა კი იმედი არ გაგვიმართლდა, საჭიროდ დავინახეთ ნაკლულოვანი ტექსტი მაინც გამოგვეცა. აქ უნდა დაუმატოთ, რომ ამ თხზულების გამოცემა აზრათა ჰქონდა განსვენებულს ჩვენს მოღვაწეს პეტრე უმიკაშვილს და რამოდენიმე ჯერ მიმართა თხოვნით საზოგადოებას გაზეთის საშვალებით, ეცნობებინათ, აქვსთ თუ არა ვისმეს ხელნაწერი „კათოლიკოზ-ბაქარიანისა“, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო და ნაკლულოვანი ტექსტის გამოცემა არ ისურვა. შეიძლება, ეხლა ჩვენმა გამოცემამ მოანახვიოს ქართული ხელთ-ნაწერების მქონეთ ეს თხზულება თავიათ წიგნებში. ვიმედოვნებთ, თუ ვისმეს ეს წიგნი აღმოუჩნდება, შემოსწირავს წერაკითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს, ან დარებით მაინც გვათხოვებს.

ე. თაყაიშვილი

უმთავრესნი წოდომილებაზი:

ბბ.	სტრიქნი	დაბეჭდილია	უნდა იუს.
6	10 ზემოდამ	გაფრილება	გაფრითხილება
12	10 —	კახთავია	კახთ ავია
19	6 —	შემამეუყარება	შემამეუყარია
28	3 —	ე	მე
30	7 —	გახსომდეს	გახსოვდეს
35	13 ქვემოდამ	ისრე	ასრე
36	9 —	აღაჯსაო	აღაჯსაო
—	16 —	შიოგა	შიგა
37	5 ზემოდამ	რომია	რომაო
39	9 —	უფალო	უფალი
40	5 ქვემოდამ	მეკადრების	გეკადრების
41	9 ზემოდამ	სოფლის	სოფლისა
42	4 —	აღაფუნეფსა	აღაფუნებსა
—	7 —	იცა	იცი
43	2 —	იაკობს ძმასა	იაკობის ძმას
—	15 —	ჩვენკე	ჩვენკენ
45	5 —	მხდომარე	მსხდომარე
—	11 —	მოგემატოსა	შეგემატოსა
—	2 ქვემოდამ	გამოგაძრესა	გამოგაძესა



ଓাসি পৰি আবাসি